ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 15 აგვისტო 2001 №153 (1426) | ფასი 50 თეთრი

# ამხანაგობანა და ომობანა

*დღე არ გავა, ცოდვილ მიწაზე ბურთი არ გაგორდეს, მაგრამ 15 აგვისტო მაინც გამორჩეულია. აქეთ ამხანაგური მატჩები, იქით მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები, თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპის უმეტეს ქვეყნებში ჯერ ჩემპიონატები არ გახურებულა, ზემოთ ნახსენები მატჩთა სიმრავლე გადაჭარბებულად არ მოგეჩვენებათ.*
*ასეა თუ ისე, დღეს გასამართ შეხვედრებში ჩვენ სამი გამოვარჩიეთ და თითოეულზე ქვემოთ მოგახსენებთ.*



მიშა ახალაშვილის ფოტო

## ლუქსემბურგი — საქართველო

ცხადია, ჯერ საქართველოს ნაკრებზე უნდა ვთქვათ. ჩვენებურები დღეს ლუქსემბურგს ამხანაგურად გაეჯიბრებიან და ხუთწლიანი განშორების მერე ეროვნულ გუნდს დროებით დაბრუნებულ ალექსანდრე ჩივაძის დებიუტიც შედგება.

სალუქსემბურგოდ ჩივაძემ ლეგიონერთა უმეტესობას არ უხმო და იმათი საქმეში ნახვა ამჯობინა, ნაკრებში დამკვიდრებას რომ ლამობენ.

დღევანდელი მატჩი საპირველსექტემბრო საქართველო — უნგრეთისთვის დაიგეგმა, მაგრამ რამდენად წაადგება ჩივაძის ორადგაყოფილ გუნდს ლუქსემბურგთან თამაში, ეს კიდევ საკითხავია, მით უფრო, უნგრელები სათბილისო ძალების შესამოწმებლად დღეს ბუდაპეშტში გერმანელებს ეთამაშებიან.



REUTERS

ლუიშ ფელიპე სკოლარი

## ბრაზილია — პარაგვაი

ახლახან იყო, კოპა ამერიკაზე ბრაზილიელთა შერცხვენის მერე პელემ სახალხოდ რომ განაცხადა, ჰონდურასთან წაგების მიუხედავად, მაინც მჯერა სკოლარის და მისი ნაკრებისო, მაგრამ „ფეხბურთის მეფე“ გულწრფელი არ ყოფილა. ბრაზილია — პარაგვაის მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ თავი დაიზღვია: ბრაზილიის ნაკრებმა თავი განსაცდელში ჩაიგდო... პარაგვაი ძალიან ძლიერი გუნდიაო.

ამ სიტყვების ალალობაში კი ძნელად რომ ეჭვი შეიტანოს კაცმა. ბრაზილია და მისი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი მართლაც დიდი ხანია განსაცდელში არიან. დღეს კი სულაც უფსკრულის პირას დგანან. საკმარისია, პორტუ ალეგრიში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები პარაგვაისთან დამარცხდნენ და მათი კორეა-იაპონიაში მოხვედრის შანსი უმცირესი იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატები უბრაზილიელებოდ კი ჯერ არ ყოფილა და თუ ასე მოხდა, სკოლარიმ საკუთარ თავს დააბრალოს. ისე, „დიდი ფილი“ პორტუ ალეგრიში შერცხვენას არ აპირებს და საომრად ემზადება. იქით კიდევ პარაგვაელთა უცნობილესი მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი იმუქრება, ბრაზილიელთა დამარცხებას წინ რა უდგასო.



REUTERS

ხოსე ლუის ჩილავერტი



REUTERS

ინგლისთან სათამაშოდ ფრანკ დე ბური ემზადება

## ინგლისი — ჰოლანდია

დღეს ლონდონის „უაით ჰარტ ლეინზე“ ბევრი ვარსკვლავი მოიყრის თავს. ინგლისელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა და ჰოლანდიელთა თავკაცმა ლუის ვან გაალმაც თითქმის ყველა უძლიერესი შეკრიბეს საამმატჩოდ. ინგლისელთა ბანაკშია მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსიც, რომლისთვისაც ეს შეხვედრა ნაკრებში სადებიუტო იქნება.

ვან გაალმა სხვებთან ერთად ნანდროლონმოყვარულ და დისკვალიფიცირებულ ფრანკ დე ბურსა და ედგარ დავიდსსაც უხმო. დე ბურის ამბავი გასაგებია, სექტემბერში თამაშის უფლება ექნება. აი, დავიდსისა კი რა ვთქვათ, ოფიციალურ მატჩებში ბურთს გორება ჯერაც სამუდამოდ ეკრძალება.

აქვე ისიც დავამატოთ, რომ ინგლისიც და ჰოლანდიაც საპირველსექტემბროდ ემზადებიან. ბრიტანელებს გერმანელებთან აქვთ საომარი, ჰოლანდიელებს ირლანდიელებთან. სასწორზე აქაც კორეა-იაპონიის საგზური დევს.

# პრეზიდენტი, ბურე, იაგრი და სხვები

მოსკოვში „სპარტაკის თასის“ გათამაშება დაიწყო, რაც ზაფხულის ყველაზე ყინულოვანი სპორტული მოვლენაა. წელს მაინც რუსთა მთავარ ქალაქში იმდენი ჰოკეის ვარსკვლავი მოგროვდა, თვით პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჩათვალა საჭიროდ მათი სტუმრობა. გამოირჩევა ორი, თავის ქვეყანაში შევბულებით მყოფი პაველ ბურე და სუპერჩეხი იარომირ იაგრი. ესენი დიდი შოუს კაპიტნები იყვნენ, რომელშიც რუსი და ჩეხი ნჰლ-ის ვარსკვლავები გაეჯიბრენ ერთმანეთს. რუსთაგან ყინულზე იყვნენ იგორ ლარიონოვი და ალექსეი ჟამნოვი, ხოლო ჩეხთაგან — მარტინ სტრაკა, პეტრ ნედვედი და რობერტ რაიხელი. საქველმოქმედო სამოსის მიუხედავად, თამაში პრინციპული და დაძაბული იყო, ორჯერ რუსები მინიმალურად დაწინაურდნენ, მერე ჩეხებმა 4:2 გაიჯეჯილეს, კიდევ 3 შაიბის გაშვება მოახერხეს და თამაშის ბოლოს სტუმრები ისევ იაგრმა იხსნა. 5:5 და ბულიტების სერია, რომელშიც რუსებმა 3 შაიბა შეაგდეს ჩეხთა ერთადერთის საპირისპიროდ და გაიმარჯვეს. ჭეშმარიტად დიდი ამბავი იყო.



რუსების „სიყვარული“ იარომირ იაგრს არასოდეს დაუმალავს, მაგრამ ახლა ვითომ დროც სხვაა, რუსეთიც და საქმესაც ასე სჭირდება: ხელი, სალამი და ტკბილი სიტყვა რუსთა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისგან



იარომირ იაგრმა რუსული პურ-მარილი მიიღო, პაველ ბურე კი აშკარად ეარშიყება მიმრთმევ გოგონას



რეალი — ინტერი 1:2. ფერნანდო იერომ სტუმრებს საჯარიმოთი ვერა, მაგრამ პენალტით კი გაუტანა

# სადაც იმედი მეგულება

## რატი და ჩელსი დაშორდნენ

ვერ აეწყო რატი ალექსიძის საქმეები კარგად ლონდონის „ჩელსიში“. ქართველი ჩელსელი, სეზონნახევარი ფაქტობრივად, უსაქმოდ გახლდათ, ხან ტრავმები, ხან რაღაც ყოფითი პრობლემები, მთავარი კი, ალბათ, მაინც ძალიან მძაფრი კონკურენცია იყო.

მიუხედავად ყველაფერ ამისა, „ჩელსი“ ტრანსფერზე არ აყენებდა ჩვენებურს. რატისაც არ დაუპირებია წასვლა, შანსს ელოდა და თავის ჭიას „ჩელსის“ სარეზერვო გუნდში თამაშით და გოლებით ახარებდა.

თუმც ახლა, ბოლო მომენტში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. „ჩელსის“ ვებ-გვერდში რატი ალექსიძეს ველარ ამოიკითხავთ, 27 ნომრის გასწვრივ გრაფაში სიცარიელეა. ერთი სიტყვით, ალექსიძე კვლავ „ჩელსის“ ეკუთვნის, მაგრამ ჩელსელი აღარ არის.

საქართველოს ეროვნულ გუნდში გამოძახებულ რატი ალექსიძეს გუშინ შევეხმიანეთ ლუქსემბურგში, სადაც დღეს ჩვენი ნაკრები მასპინძლებისას გაეჯიბრება.



**— რა ხდება, „ჩელსიდან“ წამოხვედი თუ როგორ არის საქმე?**

— ახლა იმაზე ვზრუნავ, რომ „ჩელსიდან“ წამოვიდე და სხვა კლუბში გადავიდე.

**— რაიმე კონფლიქტი ხომ არ მოგსვლია „ჩელსის“ მთავარ მწვრთნელ კლაუდიო რანიერისთან, იქნებ სხვა მიზეზიც არის? შენ ხომ რამდენიმე საკონტროლო მატჩი ითამაშე „ჩელსის“ ძირითადში და გოლებიც გაიტანე, მერე კი აღარ გათამაშებდნენ...**

— განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა, კონფლიქტი არავისთან მქონია, უბრალოდ, თამაში მინდა. „ჩელსიში“ ხანდახან თამაშს კი მირჩევნია, ისეთ გუნდში გადავიდე, სადაც ჩემი იმედი ექნებათ.

**— „ჩელსიში“ აღარ ჰქონდათ შენი იმედი?**

— რა ვიცი, ძოლა, ჰასელბაინკი, გუდიონსონი... თავდასხმაში ისეთი ხალხია, რომ...

**— ესე იგი, მიზეზი დიდი კონკურენციაა.**

— ცხადია, „ჩელსიში“, ისევე როგორც ყველა დიდ გუნდში, ასეა.

**— კლაუდიო რანიერის ამის შესახებ, ალბათ, პირადად ელაპარაკე.**

— რა თქმა უნდა. ვუთხარი, ახალ გუნდს ვეძებ-მეთქი...

**— „ჩელსი“ რა პირობით აპირებს შენს გაშვებას?**

— „ჩელსის“ უნდა, რომ იჯარის წესით გამიშვას სხვა გუნდში.

**— აგენტი თუ გყავს, ვინც შენს ტრანსფერზე იმუშავებს?**

— ხელშეკრულება არავისთან გამიფორმებია. ახლა რამდენიმე აგენტი თუ მენეჯერი ცდილობს ჩემთან საქმის დაჭერას და ვინც სასურველ ვარიანტს გამომიძებნის, იმას მივენდობი. თანაც ხომ იცით ინგლისის კანონები — შრომის უფლების პრობლემაც მოსაგვარებელი მაქვს. ერთი სიტყვით, ახალ კლუბთან დაკავშირებით ახალი ჯერ არაფერია.

**— ინგლისის პირველი დივიზიონის რომელიმე კლუბმა რომ შემოგთავაზოს ტრანსფერი, დათანხმდები თუ მხოლოდ პრემიერლიგაში გსურს თამაში?**

— უარს არც პირველი დივიზიონის გუნდზე ვიტყოდი — ამ ეტაპზე ჩემთვის მთავარია, რომ ვითამაშო.

**— „ჩელსიდან“ უკვე აიბარგე?**

— არა, კვლავაც „ჩელსიში“ ვვარჯიშობ, ვემზადები და სარეზერვო გუნდშიც ვთამაშობ. ახალ კლუბში გადასვლამდე ასე იქნება.

**დავით თავართქილაძე**

### შოტლანდია

ლიგის თასი. II ეტაპი

II ტური

ალბიონი 1:4 ეირდრი

ალოა 3:2დ.დ. (2:2) ინვერნესი

ბრეჩინი 4:0 პიტერჰედი

კლაიდი 5:0 ბერვიკი

დამბარტონი 0:2 როს ქაუნთი

ფალკირკი 0:0 (პენ. 3:5) კლაიდბანკი

რეითი 3:5დ.დ. (3:3) პარტიკ თისლი

სტრენრეი 3:2 ეირი

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UEFA UNDER-21 Championship

ესტონეთი 0:3 კვიპროსი

### ამხანაგური მატჩი

რეალი (ესპანეთი) 1:2 ინტერი (იტალია)

0:1 ვიერი (5), 1:1 იერო (80პ), 1:2 ადრიანო (90)

### შვეიცარია

B ჯგუფი

VIII ტური

ბადენი 0:0 ივერდონი

ბელინცონა 3:3 კონკორდია

კარუჟი 0:0 დელემონი

თუნი 2:2 ვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ლევან ხომერიკს **მამის** გარდაცვალების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

# 3 ტური

მიმოხილვა

# ფეხბურთს სიცხემ აუწია

**მესამე** ტურის მატჩების დასრულებისას უკლებლივ ყველა მწვრთნელი აუტანელ სიცხეს უჩიოდა. „ეს სიგიჟეა, გაწყდა ხალხი“... „ასეთ ხვატში თამაში ვის გაუგია...“ „სიცხისგან ფეხბურთელს გული რომ შეუწუხდეს, ვინ იქნება პასუხისმგებელი?“... ასეთ სიტყვებს ყველგან გაიგონებდით. ახლა ფეხბურთელებისას არ იკითხავთ? მაგალითად, ფოთში 40-გრადუსიან სიცხეში ეტაპის გადაყვანა გეგონებოდათ, ისე გადიოდნენ ფეხბურთელები მოედანზე. სიცხე იყო რუსთავში, ბათუმში, ზესტაფონში, ლანჩხუთსა და ბოლნისში.

ფედერაციამ რა ქნას, ჩემპიონატს ხომ ვერ ჩაშლის, მაგრამ შვიდის ნახევარზე მატჩების დაწყება მაინც საცოდაობაა. ჩვენი თამაშების ტემპისა შემოდგომაზე რა ვთქვი და ზაფხულში ხომ საერთოდ... ჰოდა, რა დაშავდება, დაღამებით ამაზე მეტი რაღა უნდა დაუღამდეს ჩვენს ფეხბურთს და დავიწყოთ მატჩები რვის თხუთმეტ წუთზე, უკიდურეს შემთხვევაში, შვიდზე მაინც. ნახევარი საათიც შვება იქნება ფეხბურთელ-მაყურებლისთვის.

ტურის ცენტრალური მატჩი ბათუმში შედგა. ზღვისპირელებმა ორი წლის წინანდელი გაიმეორეს და ისტორიაში მეოთხედ დაამარცხეს ქვეყნის ათგზის ჩემპიონი „დინამო“. ამ მატჩმა „ბათუმის“ ალმავლობასთან ერთად ისიც ცხადყო, რომ ვერ არიან სასურველ ფორმაში ნოდიას ბიჭები. ყოველივე კი „ბატესთან“ უეფას თასის საპასუხო მატჩის წინ, მეტი რომ არ ვთქვათ, საგანგაშოა.

ფეხბურთში უფროს-უმცროსობას ვინ დაგიდევს და ასლან ბალაძემაც მოხდენილად მოუგო ტაქტიკური დუელი მამისტოლ კოლეგას. გივი ნოდიამ ექვსი ნახევარმცველით თამაში ირჩია და შეტევაში მხოლოდ ბობოხიძე გაამწესა, ამას რა შედეგიც მოჰყვა, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. ზღვისპირელებს მეთხუთმეტე წუთისთვის უკვე მომთავრებული ჰქონდათ საქმე სტაბილური მაჭუტაძის და გამოცდილი არჩვაძის ნაყოფიერი გარჯის წყალობით. ერთ დროს დინამოელი ზურაბ არჩვაძის ორწუთიანი აფეთქება ორ გოლად დაუჯდათ სტუმრებს.

„დინამო“ ჩამორჩენამაც ვერ გამოაფხიზლა. მეტიც, მეორე ტაიმში „ბათუმს“ მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა, ერთიორად გაზრდიდა ანგარიშს.

ზემოთ ტაქტიკა ვახსენეთ და თბილისელებმა, ფაქტობრივად, ისეთი განლაგებით ითამაშეს, როგორც 9 აგვისტოს „ბატესთან“. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მწვრთნელის ამგვარი მონახაზი ბელარუსებთან გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა, „ბათუმთან“ მატჩი იმაზე მიუთითებს, რომ გივი ნოდიამ ბორისოვში გამგზავრებამდე გუნდის სათამაშო სქემაში გარკვეული კორექტივები უნდა შეიტანოს.



მიხეილ აშვეთია (მარჯვნივ) ოთხი გოლით ჯერჯერობით საუკეთესო ბომბარდირია

პრინციპული მატჩი იყო ფოთშიც. „ლოკომოტივმა“ კვლავაც ვერ გატეხა ნავსი — ისევ ვერ მოუგია „კოლხეთთან“ გასვლით მატჩებში. რკინიგზელებს თავის დასამშვიდებლად ნამდვილად ვერ გამოადგებათ, მაგრამ ფაქტია — „ლოკომოტივმა“ „ფაზისზე“ ისტორიაში პირველი გოლი გაიტანა და ადვილი შესაძლებელი იყო, ეს გოლი გამარჯვების მომტანი ყოფილიყო კვირას, მაგრამ დაწინაურებულ მეტოქეს გამოფხიზლებულმა ფილიას ბიჭებმა ორწუთიან მონაკვეთში ორი ნოკაუტი აწვნიეს და გამარჯვებაც თავად დაიბევეს.

„ლოკომოტივს“ წასაგები მაინც არაფერი სჭირდა, გვერდითი მსაჯის ნუგზარ რუსიშვილის ზეაღმართული ალამი რომ არ დასტეხოდა რისხვად. რუსიშვილმა დათუაძის გოლისას აშკარად საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა. მიუხედავად ამისა, ცხადაძის გუნდი მარცხს მხოლოდ მსაჯის შეცდომას ვერ დააბრალებს, რადგან გოგიჩაიშვილმა და კომპანიამ ისეთი ხელსაყრელი მომენტები გააცუდეს, ბარე ორ თამაშს რომ ეყოფოდა. ერთიცაა, ცხადაძე რამდენიმე ფეხბურთელმა დაალალატა, მათ სუსტად ითამაშეს, ფილიას კი ამ მხრივ სასაყვედურო არაფერი აქვს, უკლებლივ მთელი გუნდი სტაბილურად გაისარჯა. „კოლხებს“ სასიხარულო ისიც ჰქონდათ, რომ ეს გამარჯვება მეორესე გამოდგა ზღვისპირული კლუბისთვის ეროვნულ ჩემპიონატებში.



რუსთავში ავჭალელმა სტუმრებმა გაიხარეს

ტაქტიკური დუელი მწვრთნელმა რუსთავშიც წააგო. იასონ ალადაშვილის გუნდმა ვერა და ვერ გატეხა ნავსი „მერანთან“ და ქულას ვინ ჩივის, მშრალი ანგარიშით დამარცხდა ყველაზე უხერხულ მეტოქესთან.

ამ მატჩმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა, თუ რამდენს ნიშნავს გუნდისთვის ერთი ფეხბურთელი. რუსთაველებმა ტრავმის გამო ვარლამ კილასონია მოისაკლისეს. ლიდერის გარეშე დარჩენილი „გორდა“ კი ფრთებდაჭრილ არწივს ჰგავდა და „მერანის“ სრბოლას ვერაფრით აუწყო ფეხი. რუსთაველთა იშვიათმა ჩხვლეტებმა ავჭალელებს ვერაფერი დააკლო. სტუმართაგან სულიკო დავითაშვილი და იოსებ დევიძე გამოირჩეოდნენ, რომლებმაც მასპინძლები შესვენებაზე, ფაქტობრივად, განწირულნი გაუშვეს.

ძნელია იმის მტკიცება, რომ მე-60 წუთზე ჯულელის გოლი მასპინძლებს თამაშს შემოატრიალებინებდა, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდებოდა... თვითმხილველთა თქმით, გვერდითი მენთეშაშვილი აშკარად შეცდა იმ ეპიზოდში, როცა თამაშგარე აღნიშნა. ასე იყო თუ ისე, „მერანმა“ გაიმარჯვა და ლიდერთა მარაქაშიც გაერია.

მოლოდინისამებრ, გაიმარჯვა ჩემპიონმა „ტორპედომაც“. ქუთათურებმა ერთ დროს ყველასთვის ანგარიშგასაწევი „გურია“ გატეხეს ლანჩხუთში. არადა, დებიუტანტი ამ მატჩში კერკეტი კაკალი გამოდგა — 79-ე წუთამდე მედგრად იცავდა თავს. შეხვედრის დებიუტში კი ლანჩხუთელებს დაწინაურებაც შეეძლოთ, საკვირველი იყო, კარის ხაზიდან როგორ გაარტყა ბურთი მეტრეველმა ხარიხას. ზაზა გურიელიძის ბიჭები მერეც მონდომებით იბრძოდნენ, მაგრამ სტუმრები აშვეთიამ იხსნა. ტორპედოელმა მეგოლემ „ლინფილდთან“ გატანილი გაიხსენა და მოხდენილი საჯარიმო დარტყმით გახსნა ანგარიში. აშვეთიამ ოიხ წუთში დუბლი გაახერხა და სამი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ბომბარდირთა დავაში.

სამიანებს დაეჩვია ზესტაფონის „მეტალურგი“. ვასილ ჭეიშვილის გუნდი ზედიზედ მესამე მატჩია, სამ გოლს უშვებს და რაღა გასაკვირია, რომ ცხრილის ფსკერზე უქულოდაა დალექილი. იმერელთათვის საგანგაშოა ის, რომ ტურიდან ტურამდე უფრო და უფრო უარესდება გუნდის თამაში. თუ სადებიუტო შეხვედრაში „მეტალურგმა“ ვაჟკაცურად იომა და ბოლო წუთებზე დამარცხდა „ბათუმთან“, მომდევნო ორ მატჩში „ლოკომოტივთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ სრული კაპიტულაცია გამოაცხადა. კვირას ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯია“ ყველა საფეხბურთო კომპონენტში სჯობდა მასპინძლებს და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ამ მატჩში დუბლი გაახერხა ლევან მელქაძემ და თავისი გუნდი სატურნირო ცხრილში ერთბაშად ოთხი საფეხურით წინ წასწია.

ზესტაფონელთა სიდუხჭირეზე კი საცდელ პოლიგონს დამსგავსებული შინაური სარბიელიც მიუთითებს. მოკეთე თუ არ გამოუჩნდა დებიუტანტს, ეჭვგარეშეა, სეზონის ბოლოს სანატრელი გაუხდება უმაღლესი ლიგა.

უჩვეულოდ გაიხსნა სეზონი ბოლნისში. იქაურებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ფეხბურთი უყვართ და განახლებული, პლასტმასის სკამებიანი სტადიონით დახვდნენ მეცამეტე ეროვნულ ჩემპიონატს. გადახურული ტრიბუნებით, გარემონტებული და კეთილმოწყობილი გასახდელებითა და საპრესკონფერენციო დარბაზით მართლაც უნდა იამაყონ ქვემოქართლელებმა. რაც შეეხება გახსნის ცერემონიალს, ისტორიაში შევიდა ბოლნისი, რადგან ერთადერთი ქალაქია საქართველოში, რომლის სტადიონზეც პარაშუტისტი დაეშვა და ბურთი მინდორზე გააგორა. ამ ყველაფრის და კიდევ საყვარელი გუნდის მოგების იმედით ბოლნისელებმა წყენაც ჩაყლაპეს — მატჩზე ადრე მისულთ ხომ სტადიონის შესასვლელი კარი ჩაუკეტეს. მიზეზს არ იკითხავთ? — განახლებულ სტადიონზე ქვემო ქართლის გუბერნატორს უნდა შეედგათ პირველად ფეხი.

რაც შეეხება მატჩს, „სიონმა“ ტრადიცია არ დაარღვია და კვლავაც უქულოდ და უგოლოდ გაუშვა „სამგურალი“ ბოლნისიდან.

მასპინძელთა რიგებში „ვიტ ჯორჯიადან“ შემატებული გიორგი ქორიძე გამოირჩა, მან გოლიც გაიტანა და არაერთი ხიფათი შეუქმნა სტუმრებს.

ცოტა რამ მესამე ტურის სტატისტიკურ მონაცემებზეც ვთქვათ. ექვს მატჩს 9 300 მაყურებელი დაესწრო (საშუალოდ 1550), სამი შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა, სამიც მასპინძლებმა. მსაჯებმა სულ 14 ფეხბურთელი გააფრთხილეს. ტურში ორი პენალტი დაინიშნა და ორივე გამოუყენებელი დარჩა — ბოლნისელმა შალვა ისიანმა ათწუთიან ინტერვალში ორჯერ ვერ შეძლო წყალტუბოელი თედო ბოლოკიას დამწუხრება.

**ბაადა ძმანტალიანი**

## სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| სულიკო დავითაშვილი | მერანი |
| გიორგი ძორიძე | სიონი |
| მიხეილ აშვეთია | ტორპედო |
| გელა ფანჩულიძე | კოლხეთი |
| მიხეილ ძოზულაძე | კოლხეთი |
| ბადრი ახვლედიანი | კოლხეთი |
| ჯაბა მუჯირი | ვიტ ჯორჯია |
| ზაზა მიძელთაძე | კოლხეთი |
| ზურაბ არჩვაძე | ბათუმი |
| იოსებ დევიძე | მერანი |
| მამუკა გვასალია | კოლხეთი |

გუნდი: მერანი

მწვრთნელი: ასლან ბალაძე

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 2 მერანი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 |
| 3 ბათუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 4 კოლხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 5 ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 |
| 6 დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 7 გორდა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 9 სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |
| 10 სამგურალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | -6 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | -8 | 0 |
| 11 გურია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 12 მეტალურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | -8 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 4 - აშვეთია | ტორპედო |
| 3 - წიფწივაძე | კოლხეთი |
| 2 - ბობოხიძე | დინამო |
| მ. გვასალია | კოლხეთი |
| დავითაშვილი | მერანი |
| დევიძე | მერანი |
| იონანიძე | ტორპედო |
| ვ. კილასონია | გორდა |
| მაჭუტაძე | ბათუმი |
| ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| სირბილაძე | ლოკომოტივი |
| შ. ხუჯაძე | ბათუმი |



ალექსანდრე იაშვილმა (№9) ახალდაწყებულზე პირველად გაიტანა

# ფრაიბურგი შერცხვა, იაშვილმა გახსნა... მამუკა წერეთელი ბელგიაში გამოჩნდა

**ბიჭებს** ვერ დავემდურები. ეგ არის, თამაშის ორგანიზებაში მოვისუსტებდითო — ფეხბურთელებს ხელი დააფარა და წაგების ცოდვა საკუთარ თავზე აიღო ფოლკერ ფინკემ. „ფრაიბურგის“ მწვრთნელს კაცობა და დიპლომატიურობა არ დაეწუნება, მაგრამ კობიაშვილისა და კომპანიის „ჰერტასთან“ შინ დამარცხებამ გულშემატკივრები ნამდვილად გააწბილა. ბერლინელებს პირველ ორ ტურში ვერ მოეგოთ, ფრაიბურგელებმა კი ჩინებულ დასაწყისს, „ვერდერთან“ 3:0 მოგებას ნიურნბერგში უსახური თამაში და 0:2 მიაყოლეს, ამიტომაც „დრაიზამშტადიონზე“ მისულ ქომაგს თავისიანების გამარჯვებისა სწამდა, მით უმეტეს, რომ შარშან „ჰერტამ“ „ფრაიბურგს“ მხოლოდ ერთი ადგილით აჯობა და სექტემბერში ორივე გუნდი უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმება.

რომ ელოდნენ, ისეთი ბრძოლა ვერ გამოვიდა. სტუმრები ნახევარ საათში უკვე ორი ბურთით იგებდნენ, მერე მესამეც შეაგდეს და ბოლო წუთებზე ალექსანდრე იაშვილის ერთ საპასუხოს აღარაფერი შეუცვლია. ჩვენთვის სასიხარულო კი ის უნდა იყოს, რომ იაშკამ წლევანდელ ბუნდესლიგაში პირველად გაიტანა და აწი, ეგებ მიზანი გაუსწორდეს.

ხუთი ფრაიბურგელიდან შაბათს ისევ სამმა ქართველმა ითამაშა. ორი სასტარტოში იყო, ხოლო ლევან ცქიტიშვილი შეცვლაზე შევიდა და „კიკერისგან“ შეფასებაც არ მიუღია, კობიაშვილსა და იაშვილს კი 2,5 ერგოთ, რაც წინა ტურის შეფასებებთან შედარებით გაცილებით უკეთესია.

„ფრაიბურგმა“ შინ 1:3 წააგო, „კიოლნმა“ კი სტუმრად ლიდერ „ლაუტერნთან“ 1:2 დათმო. წაგება წაგებად, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ არჩილ არველაძემ იარა მოიშუშა და ახალ სეზონში პირველად გამოჩნდა მინდორზე. ტყუპისცალმა მხოლოდ ცხრამეტი წუთი ითამაშა და ბუნებრივია, შეფასებაც არ მიუღია.

შვეიცარიაში ისევ გაიტანა მიხეილ ყაველაშვილმა. წარმოუდგენელი რამ ხდება, მიშას შვიდ მატჩში შვიდი გოლი მოუგროვდა, თუმცა „ქსამაქსთან“ ბოლო წუთზე მინდვრიდან გააძევეს, რაც ძალიან საწყენი ამბავია, ახლა ყაველაშვილს თამაშის გამოტოვება მოუწევს და, შესაძლოა, ამან ყალიბიდან ამოაგდოს, თუმცა ჩვენ უკეთესის იმედი გვქონდეს, მით უმეტს, რომ ყაველაშვილ-ჯამარაულის „ციურიხი“ კვლავაც შვეიცარიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია.

სეზონი დაიწყო ინგლისსა და ბელგიაშიც. თუმცა ინგლისური პრემიერლიგა მხოლოდ მომავალ უქმეებზე დაიძრება. პირველ, მეორე და მესამე დივიზიონებში კი საწყისი ტურები გაიმართა. ჩვენთვის საინტერესო პირველდივიზიონელი „ვულვერჰემპტონის“ ამბავია. მგლებმა „პორტსმუთთან“ შინ 2:2 ითამაშეს, თემურ ქეცბაია კი შემადგენლობაში ვერ მოხვდა.

არ უთამაშიათ გელა შეყილაძესა და ლაშა ჯაკობიასაც. ბელგიის ჩემპიონატის პირველ ტურში მხოლოდ ერთი ქართველი, ისიც ერთი წუთით გაიყვანეს მინდორზე, მაგრამ ეს ამბავი მაინც აღსანიშნავია. ბოლო დროს უგუნდო და უთამაშებელმა მამუკა წერეთელმა „ლიერსში“ დებიუტი აღნიშნა. „ლოკერენთან“ მისი გუნდის თამაში კი 1:1 დამთავრდა.

აი, რუსეთში კი ჩვენებს აღარ ენდობიან. წინა ტურისა არ იყოს, რუსთა უმაღლეს ლიგაში არც ამჯერად გამოჩენილა ქართველი. სათქმელი მხოლოდ ის არის, რომ „რუსთ ლეგიონს“ ორი ჩვენებური კიდევ დაემატა, ვიტ-ჯორჯიელი ედიკ საჯაია უკვე მოსკოვის „ტორპედოს“, ხოლო ტორპედოელი ნიკა ტოგონიძე ტომსკის „ტომის“ განაცხადში შეიყვანეს.

დანარჩენებთან კი რა, „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა იური სიომინმა პირდაპირ თქვა, ზაზა ჯანაშია „ტიროლთან“ ცუდად ჩაერთო თამაშშიო და „ტორპედოსთან“ კაკაშვილთან ერთად „დუბლებში“ ათამაშა. „დუბლებშივე“ პაატა ჯინჭარაძემ ორი გოლი გაიტანა, მისმა სარეზერვო „სოკოლმა“ კი მოსკოვის „დინამოს“ 5:4 მოუგო. მიუხედავად ამისა, ჩვენებური ძირთადში მაინც არ ათამაშეს.

ლატვიაში კარგა ხნის შესვენების მერე ითამაშა „სკონტომ“, მაგრამ რად გინდა, ლიდერ „მეტალურგსთან“ სტუმრად 2:4 წააგო და კვლავაც მისთვის უჩვეულო მესამე ადგილზეა. არადა, თავიდან 2:0 იგებდა, ჯერ ვერპაკოვსკისმა შეაგდო თავით, მერე კი მასპინძლებმა თავის საჯარიმოში მენთეშაშვილი წააქციეს და ზემლინსკისმა ზუსტად დაარტყა. ამ მომენტისთვის მხოლოდ ნახევარი საათი გალეულიყო. მერე კი, მერე მეტალურგებმა იძალეს და რიგელებს მინდორზე კორღალაძის გამოჩენამაც ვერ უშველა.

ახლა „სკონტო“ ცხრილში მესამეა, თუმცა დაკარგული ქულებით მხოლოდ ორი პუნქტით ჩამორჩება ლიდერ „მეტალურგს“.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| **ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰერტა 1:3 | 90 | 1 გოლი | 3 | 1 | 11 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰერტა 1:3 | 90 | | 3 | 1 | 11 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰერტა 1:3 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 11 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | ჰერტა 1:3 | 0 | | 0 | 0 | 11 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | ჰერტა 1:3 | 0 | | 0 | 0 | 11 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ლაუტერნი 1:2 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 7 |
| **მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | ბაბელსბერგი 1:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 10 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| **პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | პორტსმუთი 2:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | - |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| **პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | ლივინგსტონი 1:0 | 90 | | 3 | 0 | 3 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | ლივინგსტონი 1:0 | 90 | | 3 | 0 | 3 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ლოკერენი 1:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | - |
| მამუკა წერეთელი | ლიერსი | შ | ლოკერენი 1:1 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | - |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | მუსკრონი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | - |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ქსამაქსი 1:1 | 90 | | 6 | 1 | 1 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ქსამაქსი 1:1 | 89 | 1 გოლი, გააძევეს | 7 | 7 | 1 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | ს | ლოზანა 3:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 6 |
| **ავსტრია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | ადმირა 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 3 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 17 | 2 | 3 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | შ | ტორპედო 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | როსტსელმაში | ს | ცსკა 0:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 3 | 0 | 10 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ცსკა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | შ | სატურნი 0:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 1 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | სატურნი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | სოკოლი | შ | დინამო 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | ლოკომოტივი 1:3 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| **პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | შ | რუბინი 1:1 | 90 | | 2 | 0 | 15 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | რუბინი 1:1 | 81 | შეცვალეს | 14 | 0 | 15 |
| თენგიზ სიჭინავა | ბალტიკა | შ | რუბინი 1:1 | 70 | შეცვალეს | 2 | 0 | 15 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | მეტალურგი 1:3 | 90 | 1 გოლი | 15 | 2 | 9 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | შ | ლადა 2:0 | 0 | | 9 | 0 | 5 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | ტომი | შ | ამკარი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | შახტარი 1:2 | 90 | გააფრთხილეს | 3 | 1 | 11 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | შახტარი 1:2 | 90 | 1 გოლი, პენ. | 3 | 2 | 11 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | შახტარი 1:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 11 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | | ტური გამოტოვა | | | 5 | 0 | 12 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | რადომსკო 0:1 | 90 | | 4 | 0 | 8 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| **უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:4 | 90 | | 7 | 1 | 3 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:4 | 63 | შეცვალეს | 9 | 1 | 3 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:4 | 0 | | 9 | 3 | 3 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:4 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 3 | 3 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | ს | მეტალურგსი 2:4 | 0 | | 3 | 0 | 3 |
| თამაზ პერტია | რიგა | | ტური გამოტოვა | | | 3 | 0 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*


☎ (231) 7 17 58



# იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.

საცხოვრებელი ფართი 250 მ².

დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ქუთაისში ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
სამხრეთ ამერიკა

# პელემ თქვა, ვაიო!

## ჩილავერტს ბრაზილია სასაცილოდ არ ყოფნის



ლუიშ ფელიპე სკოლარი

### ბრაზილია — პარაგვაი

ურთიერთშეხვედრები

| | | |
|---|---|---|
| 07.18.2001 | ბრაზილია–პარაგვაი | 3:1 |
| 07.18.2000 | პარაგვაი–ბრაზილია | 2:1 |
| 06.22.1997 | ბრაზილია–პარაგვაი | 2:0 |
| 06.21.1993 | ბრაზილია–პარაგვაი | 3:0 |
| 10.20.1983 | ბრაზილია–პარაგვაი | 0:0 |

### ეკვადორი — არგენტინა

ურთიერთშეხვედრები

| | | |
|---|---|---|
| 07.19.2000 | არგენტინა–ეკვადორი | 2:0 |
| 07.01.1999 | არგენტინა–ეკვადორი | 3:1 |
| 06.11.1997 | არგენტინა–ეკვადორი | 0:0 |
| 04.30.1997 | არგენტინა–ეკვადორი | 2:1 |
| 06.02.1996 | ეკვადორი–არგენტინა | 3:0 |

### კოლუმბია — პერუ

ურთიერთშეხვედრები

| | | |
|---|---|---|
| 07.23.2001 | კოლუმბია–პერუ | 3:0 |
| 07.19.2000 | პერუ–კოლუმბია | 0:1 |
| 02.23.2000 | კოლუმბია–პერუ | 2:1 |
| 04.30.1997 | კოლუმბია–პერუ | 0:1 |
| 06.02.1996 | პერუ–კოლუმბია | 1:1 |
| 07.07.1995 | კოლუმბია–პერუ | 1:1 |

**პორტუ** ალეგრის „ოლიმპიკო" ორმოცდარვა ათას კაცს იტევს. იქ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბრაზილიელები პარაგვაის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. სტადიონზე მოხვედრის მსურველი საკმაოდ ბევრია და ბილეთებიც უკვე გაყიდულია. შავ ბაზარზე მათი ფასი ოფიციალურ ღირებულებას სამჯერ აღემატება და გადამყიდველებსაც კარგი დახლი უდგათ. ცხადია, ბრაზილიაში უმრავლესობას სჯერა, რომ მათი ნაკრების გარეშე მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება შეუძლებელია. ტორსიდა იმაშიც დარწმუნებულია, რომ პარაგვაის ძლევა ტეტრაკამპეონებს არ უნდა გაუჭირდეთ. აი, საქმეში ჩახედულები კი სხვაგვარად ბჭობენ. ვინ-ვინ და, ფეხბურთის მეფეზე უკეთ ვინ უწყის დღევანდელი მატჩის სირთულე. მართალია, წინა დღეებში ბრაზილიელთა გუნდს და, მის მწვრთნელ სკოლარის ექომაგებოდა, ნაკრების კორეა-იაპონიაში წაუსვლელობა წარმოუდგენელიაო, მაგრამ, ეტყობა, ეს მხოლოდ გაჭირვების ჟამს თანადგომისა და მხარდაჭერის გამოხატვის სურვილი გახლდათ. ზედ თამაშის წინ კი პელე რეალობას თვალს უსწორებს და ამბობს: „ბრაზილიის ნაკრებმა თავი განსაცდელში ჩაიგდო. ჩვენებმა აქამდე წააგეს ისეთ მეტოქეებთან, რომელსაც ადრე მეტოქესაც ვერ დავარქმევდით. ახლა სულ სხვა სურათია. პარაგვაი ძალიან ძლიერია. სერხიო მარქარიანმა ბრძოლისუნარიანი გუნდი შეკრა. ჰყავს რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელიც, რომელთაგანაც გამოვარჩევ როკე სანტა კრუზს და ფრანსისკო არსეს. ერთი სიტყვით, დღეს არსებული ვითარების გათვალისწინებით ჩემს თანამემამულეებს ძალიან მძიმე ბრძოლა ელით".

ახლა პარაგვაელებსაც ვკითხოთ. ისინი ოცდაექვსი ქულით ჯგუფში მეორე ადგილზე არიან და პორტუ ალეგრიში სამის თუ არა, ერთი ქულის მოსაპოვებლად მაინც იბრძოლებენ. მათი კოლორიტული კარის დარაჯი, ხოსე ლუის ჩილავერტი კი ჩვეული რიხით თავისიანთა გამარჯვებას წინასწარმეტყველებს: „ბრაზილიელებს თავიანთი თავი ყოველთვის საუკეთესონი ჰგონიათ, მაგრამ ეს წოდება უკვე კარგა ხანია, აღარ შეეფერებათ. ჩვენ მათი დამარცხება თავისუფლად შეგვიძლია".

ჩილავერტის ნათქვამი თუ ახდა, მაშინ ვაი, ლუიშ ფელიპე სკოლარისა და მისი ამალის ბედს. ბრაზილიური რეკორდი (ისინი მსოფლიოს ყველა ჩემპიონატზე მონაწილეობდნენ) წარსულს ჩაბარდება. „დიდმა ფილმაც" შესანიშნავად იცის ის შედეგი, რაც ტეტრაკამპეონების მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენას მოჰყვება. ძალიანაც ცდილობს, მაგრამ მისი სიტყვები ტორსიდასა და ბრაზილიელთა არაბრაზილიელ ქომაგებს, ალბათ, უსიამოდ გაკენწლავს. ხმაურიანი, მუდამ ომისკენ მიმართული სკოლარი ამბობს: „ძალიან კარგად ვიცი, რომ ვრისკავთ. ამიტომაც ვთვლი, რომ მთავარი ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მომზადებაა. არსებულ ვითარებაში ფსიქიკა ტაქტიკაზე და ფიზიკურ მომზადებაზე მეტს ნიშნავს. ნაკრების წევრებმა სწორედ ახლა უნდა გამოავლინონ სამშობლოსადმი სიყვარული, თავდადება და პასუხისმგებლობა".

„დიდი ფილის" სათამაშო ტაქტიკა მანამდეც არ გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. ხოლო მისი ეს სიტყვები ბევრს აფიქრებინებს, რომ პორტუ ალეგრიში პარაგვაელებთან ტეტრაკამპიონების ღირსების დაცვას თერთმეტი ბრაზილიელი გლადიატორი შეეცდება. სკოლარი ისედაც იყო მუჯლუგუნის, სარმისა და ძალისმიერი ილეთების ტრფიალი. მოსალოდნელია, რომ მისი ამგვარი ტაქტიკა გადამწყვეტ თამაშს ნამდვილ ომად აქცევს. და ეს მაშინ, როცა სერხიო მარქარიანის გუნდი გააზრებულ ფეხბურთს თამაშობს.

პარაგვაელებს განწყობაც უკეთესი აქვთ. ისინი როგორც უკვე ვთქვით, მეორე ადგილზე არიან. გარდა ამისა, ბრაზილიელები, შინ, ასუნსიონშიც დამარცხებული ჰყავთ. გარდა ამისა, კოპა ამერიკის წლევანდელი გათამაშების მომგები კოლუმბიელებიც შინ პერუსთან გამარჯვების შემთხვევაში ოთხეულში მოხვედრის რეალური კანდიდატები ხდებიან. ცხადია, მოვლენების ამგვარი განვითარება ბრაზილიელებს ერთიორად უმძიმებს მდგომარეობას.

სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ჯგუფის დანარჩენი მატჩები ნაკლებად დაძაბული იქნება.

არგენტინის და ეკვადორის შეხვედრის შედეგი მხოლოდ ამ უკანასკნელთათვის იქნება ფასეული. ეკვადორის ნაკრები, ყველასთვის მოულოდნელად, მესამე ადგილზეა. პატარა ქვეყნის წარმომადგენლები არგენტინელებთან, ალბათ, ფრეზეც ყაბულს არიან, სამი ქულა უკვე მეტისმეტია. თუმცა ვინ იცის, მით უმეტეს, რომ ჯგუფის ლიდერებს თავი ქუდში აქვთ, არგენტინელები სხვებს კარგა დიდი მარაგით სჯობნიან. ამიტომაცაა მშვიდად მათი მწვრთნელი მარსელო ბიელსა. ერთადერთი პრობლემა, რაც მას აწუხებს, ისაა, თუ როგორ აირჩიოს ვარსკვლავთა ზღვაში თერთმეტი კაცი. ბიელსას განსაკუთრებით შუა ხაზის ბედი აღელვებს, ვერ გადაუწყვეტია, გამთამაშებლად ორტეგა გაამწესოს თუ ახალგაზრდა აიმარს ენდოს. სხვა თავსატკივარი არგენტინელებს არ აქვთ. მარსელო ბიელსას თავისი ბიჭებისთვის ბუენოს აირესის მახლობლად, ესეისაში მოუყრია თავი.

**გიორგი გაგარდაშვილი**

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბრაზილია**

მარკოსი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, კრისი, ჟუანი, ბელეტი, ედუარდო კოშტა, ტინგა, ლეონარდო, რივალდო, ედილსონი

**პარაგვაი**

ჩილავერტი, არსე, პ. სარაბია, ხ. კასერესი, დ. სარაბია, რ. აკუნია, კინტანა, გავილანი, ხ. კარდოზო, ხ. კამპოსი

**არგენტინა**

ბურგოსი, ვივასი, რ. აიალა, სამუელი, ხ. ძანეტი, სიმეონე, სორინი, ვერონი, აიმარი (ან ორტეგა), კრესპო, კილი გონსალესი

# ჰაჯი წამალზე შესვეს



**დღეს** სლოვენიაში რ[illegible]ეთის ნაკრები [illegible] ამხანაგურად გაეჯიბრება. მას შემდეგ, რაც ლ[illegible] [illegible]ლინმა გუნდი მიატოვა და ნაკრებს გეორგ ჰაჯი ჩაუდგა სათავეში, ეს „კარპატელი მარადონას" სადებიუტო მატჩი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჰაჯის თირკმელები აწუხებს, ექიმებმა წამლად მინერალური სასმელები და შინ ჯდომა გამოუწერეს. მიუხედავად უდიდესი სურვილისა, თავის გუნდს სლოვენიაში გაჰყვეს, გეორგ ჰაჯის ამ შეხვედრის ტელევიზორით ყურება მოუწევს. ასე რომ, მისი დებიუტი 5 სექტემბრისთვის გადაიდო და ბუდაპეშტში უნგრელების წინააღმდეგ შედგება. უნგრელები კი, რომელთაც ჩვენი ნაკრები 1 სექტემბერს დაუპირისპირდება, დღეს გერმანელებს ხვდებიან. მათ, ალბათ, ყველაზე მეტად კარსტენ იანკერის უნდა ეშინოდეთ, რომელსაც ვარჯიშის დროს თანაგუნდელ იანს ლემანისთვის შეუფურთხებია და სხვებს რას უზამს, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

# უეფამ შვედებს ბილობილი დაალევინა

**წინა** ხუთშაბათს უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ესტონურმა „ტრანს ნარვამ" შვედურ „ელფსბორგს" უმასპინძლა და 1:3 წააგო. თუმცა მოგვიანებით შვედებს 0:3 წაგება ჩაეთვალათ. გაირკვა, რომ „ელფსბორგის" შემადგენლობაში პირველივე წუთიდან მოთამაშე კრისტიან ლუნდსტრემი განაცხადში შეყვანილი არ იყო. ბედის ირონიით, პირველი გოლიც ესტონელთა კარში ლუნდსტრემს გაუტანია და იგი 86-ე წუთზე შეცვალეს. ხვალამდე შვედებს უეფას ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლიათ. თუმცა ისინი იმდენად კარგად გამოიყურებოდნენ პირველ შეხვედრაში, რომ 23 აგვისტოს, საპასუხო მატჩში დიდი ანგარიშით მოგება არ უნდა გაუჭირდეთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# უკლუბო გვარდიოლა უნაკრებოდაც დარჩა



**ყოფილი** ბარსელონელი ხოსეპ გვარდიოლა შესაძლოა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ავსტრიის წინააღმდეგ ნაკრებში არ მიიწვიონ. მიზეზი, „ბარსელონას" ყოფილი კაპიტნის უკლუბობაა. როგორც იცით, მან ამ ზაფხულს აღარ განაახლა კონტრაქტი „ბარსელონასთან", ახალი გუნდის მოძებნა კი საკმაოდ გაუჯანჯლდა.

— „არ მესმის, ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელი როგორ უნდა დარჩენილიყო ამდენხანს უგუნდოდ" — ამბობს ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო. არადა, ნაკრებს ძალიან სჭირდება გვარდიოლა, მით უმეტეს, რომ ავსტრიის წინააღმდეგ საშინაო მატჩში, სადაც VII შესარჩევ ჯგუფში პრაქტიკულად პირველი ადგილის ბედი გადაწყდება, ესპანელებს დისკვალიფიკაციის გამო კიდევ ორი შუახაზელი, რუბენ ბარახა და ივან ელგერა არ ეყოლებათ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კამაჩო უარს ამბობს გვარდიოლას მიწვევაზე: „მისი იმედი ყოველთვის მქონდა, მაგრამ სანამ უკლუბოდაა, ნაკრებში ვერ მოვიწვევ". ვეტერანის ადგილს კი ალბათ ბარსელონელი ხავი დაიკავებს.

**სერგი ძორიძე**

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34, 877 42-20-59

# ამხანაგური მატჩი



REUTERS

ინგლისური ფეხბურთის ამოსული და ამომავალი ვარსკვლავები: დევიდ ბექემი (მარცხნივ) და ოუენ ჰარგრივსი

დღევანდელი ამხანაგური მატჩებიდან რომელიმე თუ არის გამოსარჩევი, ეს ინგლისი — ჰოლანდიაა, რომელსაც „ტოტენჰემის" „უაით ჰართ ლეინი" უმასპინძლებს. გამოსარჩევი კი ორი მიზეზის გამოა — ერთი, რომ თავისთავად ინგლისი — ჰოლანდიის შეხვედრამ შეუძლებელია, ყურადღება არ მიიპყროს და მეორეც იმის გამო, რომ ამ გუნდებს ორიოდ კვირაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი მატჩები ელით, ჰოლანდიას — ირლანდიასთან, ინგლისს კი — გერმანიასთან. ინგლისიც და ჰოლანდიაც საპირველსექტემბრო თამაშების წაგების შემთხვევაში თავიანთ ჯგუფებში პირველი ადგილის დაკავების შანსს გამოეთხოვებიან. ასე რომ, ორთავეს დღეს მოუხდება საკუთარი მზადყოფნის შემოწმება.

## ინგლისი

*მეკარეები:* დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი), რიჩარდ რაიტი (არსენალი);

*მცველები:* უესლი ბრაუნი, გარი ნევილი, ფილ ნევილი (ყველა მანჩესტერ იუნაიტედი), ეშლი კოული (არსენალი), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული), უგო ეჰიოგუ (ასტონ ვილა), მარტინ კიოუნი (არსენალი), დენი მილსი (ლიდსი), კრის პაუელი (დერბი ქაუნთი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო);

*ნახევარმცველები:* ნიკ ბარმბი (ლივერპული), დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), მაიკლ კარიკი (ვესტ ჰემი), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი გერმანია), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი);

*თავდამსხმელები:* ენდი კოული (მანჩესტერ იუნაიტედი), რობი ფაულერი, მაიკლ ოუენი (ორივე ლივერპული), ალან სმიტი (ლიდსი)

## ჰოლანდია

*მეკარეები:* ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), სანდერ ვესტერფელდი (ლივერპული, ინგლისი), რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი);

*მცველები:* კევინ ჰოფლანდი (პსვ ეინდჰოვენი), მიხაელ რაიციგერი, ფრანკ დე ბური (ორივე ბარსელონა, ესპანეთი), იაპ სტამი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ნილს უდე კამპჰისი (შალკე, გერმანია), მარიო მელხიოტი (ჩელსი, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* ედგარ დავიდსი (იუვენტუსი, იტალია), ბობ პეტა (სელტიკი, შოტლანდია), მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი), ფილიპ კოკუ, მარკ ოვერმარსი (ორივე ბარსელონა, ესპანეთი), პატრიკ პაუვე (ფეიენოორდი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (არსენალი, ინგლისი), დენი ლანძაატი (ტილბურგი);

*თავდამსხმელები:* რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი (ჩელსი, ინგლისი), პატრიკ კლუივერტი (ბარსელონა, ესპანეთი), პიერ ვან ჰოიდონკი (ფეიენოორდი), როი მაკაი (დეპორტივო, ესპანეთი)

**გუშინ** ინგლისელებმა „არსენალის" ბაზაზე ივარჯიშეს, რასაც პრესკონფერენცია მოჰყვა, რომელზეც ნაკრებს მისი კაპიტანი დევიდ ბექემი წარმოადგენდა. კაპიტანმა ჯერ თავის პასუხისმგებლობაზე ილაპარაკა, ინგლისის სახელით თამაში ისედაც დიდი პატივია და კაპიტნობა მით უმეტესო, მერე კი დაიწუწუნა, რაღა პირველ სექტემბერს გვიწევს გერმანიასთან გაჯიბრებაო. მოგეხსენებათ, ბუნდესლიგა უკვე დაიწყო და პირველი სექტემბრისთვის იქ უკვე ხუთი ტური იქნება გამართული, რაც ნიშნავს, რომ გერმანელები საინგლისოდ კარგ ფორმაში იქნებიან. პრემიერლიგა კი ახლაღა იწყება და ბექემიც შიშობს, წესიერად შეთამაშებას ვერ მოვასწრებთო.

ცხადია, ბექემის ჩივილი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კაპიტანს ინგლისის ნაკრებისა არ სჯერა, ამბობს, უეჭველად უნდა მოვიგოთო და განსაკუთრებით მაიკლ ოუენის ბრწყინვალე ფორმას აღნიშნავს, რომლითაც გასულ უქმეებზე „ჩარითი შილდის" მატჩისას აღფრთოვანებულა. გავიხსენოთ, რომ „ჩარითი შილდი" ინგლისის სუპერთასია, რომელიც ოუენის „ლივერპულმა" ბექემის „მანჩესტერს" მოუგო.

მთავარი სიახლე ინგლისის ნაკრებში ოუენ ჰარგრივსის გამოძახებაა. წინა სეზონის ჩემპიონთა ლიგის აღმოჩენამ, მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველმა პრესკონფერენციაზე ბექემის მერე ილაპარაკა და კაპიტანზე მეტი ყურადღება დაიმსახურა.

ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვარო, თქვა ფეხბურთელმა, ინგლისის ნაკრებზე ჯერ კიდევ კანადაში ცხოვრებისას ვოცნებობდი, მაგრამ ხმამაღლა რომ მეთქვა, გიჟად ჩამთვლიდნენო.

აღვნიშნოთ, რომ 20 წლის ოუენ ჰარგრივსს რამდენიმე პოზიციაზე თანაბრად ძლიერად შეუძლია თამაში. ის ამბობს: „ახლა „ბაიერნში" იგივე ფუნქცია მაკისრია, რაც „მანჩესტერში" როი კინს, თუმცა ფლანგებზეც შემიძლია თამაში. მაგალითად, „ლევერკუზენის" წინააღმდეგ მარცხენა ნახევარმცველად გამამწესეს. ამიტომ ერიკსონის ნებისმიერ დავალებას შევასრულებ".

რაც შეეხება ინგლისელთა მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს, გავიხსენოთ, რომ მან აქამდე ხუთჯერ უხელმძღვანელა ინგლისს და ხუთჯერვე მოიგო.

გულხელდაკრეფილი, ცხადია, არც ლუის ვან გაალი ზის. ის ინგლისის წინააღმდეგ უძლიერესი შემადგენლობის გაყვანას გეგმავს, რომელშიც ორი მანჩესტერელი იქნება — იაპ სტამი და რუუდ ვან ნისტელროი. ნაკრებში გამოძახებულია ფრანკ დე ბურიც, რომელსაც დისკვალიფიკაციის მიუხედავად ამხანაგურ მატჩებში თამაშის უფლება აქვს.

დღეს ჰოლანდიელები ერთგვარად რევანშის აღებასაც შეეცდებიან, რაკი ამათი ბოლო შეხვედრა ევრო 96-ზე ინგლისელთა გამარჯვებით დასრულდა (4:1).

ბოლოს კი საპირველსექტემბრო თემას მივუბრუნდეთ. გერმანია — ინგლისის მატჩის მომსახურება პიერლუიჯი კოლინას აქვს მინდობილი. აქამდე ეს მსაჯი ინგლისელთათვის ფეხბედნიერი იყო. მან 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში („მანჩესტერი" — „ბაიერნი") და წინა ევროპის ჩემპიონატზე ინგლისი — გერმანიის შეხვედრაში იმსაჯა. ორჯერვე კუნძულელებმა მოიგეს.

გუშინდელ ვარჯიშზე ინგლისელებს ლივერპულელი ემილ ჰესკი და მანჩესტერელი ნიკი ბათი დაუშავდათ.

**გიორგი დარჯანია**

# იაპ სტამმა ფერგიუსონი ჩაუშვა

## „მანჩესტერ იუნაიტედის"

ჰოლანდიელ მცველს იაპ სტამს საკმაოდ ამ ზაფხულს საქმე რომ არაფერი ჰქონდა, ავტობიოგრაფიული წიგნი დაუწერია. მერე რაო, მავანი იკითხავს, წეროს და იკითხოსო. არც არაფერი, მაგრამ იმ წიგნის ფურცლებზე ისეთი ამბავიც დაუწერია, თურმე უეფას კანონებს რომ ეწინააღმდეგება. სად უეფა და სად წიგნების ბეჭდვა-გამოცემა? — მართალია, მაგრამ თუ მონათხრობის შინაარს გავეცნობით, ერთ ფრიად საინტერესო ამბავს წავაწყდებით.

ეს მოხდა ამსტერდამში, 1998 წელს. ცხვირწითელა სერ ალექს ფერგიუსონი მეუღლესთან ერთად საფრანგეთიდან მანჩესტერში ბრუნდებოდა. გზად ამსტერდამში შეიარა. იქ მას დათქმულ ადგილზე იაპ სტამის აგენტი, ტომ ვან დალენი დახვდა. აგენტმა კონსპირაციულ ბინაზე ერთმანეთს ფერგიუსონი და სტამი შეახვედრა. საუბარი სულ რაღაც ნახევარ საათს გაგრძელდა. ცხადია, ამ შეხვედრის შესახებ „ეინდჰოვენის ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა. წიგნში მოყვანილია სერ ალექსის სიტყვები: „იაპ, მე მსურს, რომ „მანჩესტერში" ითამაშო და დაცვის ბურჯი გახდე. შენ უნდა დაგვეხმარო ჩემპიონთა ლიგის მოგებაში". თავად ფეხბურთელი ამბობს, კონტრაქტზე არ გვილაპარაკია, უბრალოდ, ფერგიუსონს ჩემი გაცნობა აინტერესებდაო. ეს ნაცნობობა კი საბოლოოდ იაპ სტამის მანჩესტერში გადაბრძანებით დასრულდა. წიგნში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, ამ შეხვედრის დროს „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ღეჭავდა თუ არა მისთვის საყვარელ საღეჭ რეზინს.

უეფას კანონების მიხედვით, კლუბის გვერდის ავლით ფეხბურთელებთან მოლაპარაკება აკრძალულია. ჰოდა, სტამმაც, ნებსით თუ უნებლიეთ ფერგიუსონი ჩაუშვა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივანი პოლ ნიუმანი აცხადებს, რომ ასოციაცია სერ ალექსის წინააღმდეგ არანაირ დამსჯელ ზომებს არ მიიღებს. ხოლო როგორ გამოეხმაურება ამ ამბავს ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია და უჩივლებს თუ არა სერ ალექს უეფაში ან ფიფაში, ეს უკვე მისი საქმეა.

**გაგა ხუციშვილი**

# ასამმრმა არენა შალკე იშვილა




**გელზენკირხენში** ახალი სტადიონი, „არენა შალკე" გაიხსნა. ეს ნაგებობა დღეისთვის ევროპაში ყველაზე სრულყოფილად ითვლება. იგი განკუთვნილია როგორც საფეხბურთო მატჩებისთვის, ისე სხვადასხვა ღონისძიებებისათვის. საფეხბურთო კლუბ „შალკეს" გენერალური მენეჯერი რუდი ასაუერი სიამაყით აცხადებს, რომ „არენა შალკე" მისი შვილობილია. ასეთი სტადიონის აშენებაზე იგი თურმე დიდი ხანია, ოცნებობდა. მაგრამ ოცნება მხოლოდ მას შემდეგ აუხდა, რაც ბოლო წლებში „შალკე" მყარად დამკვიდრდა ბუნდესლიგის ლიდერებში, შარშან კი ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა.



სტადიონის მშენებლობა 33 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და 358 მილიონი მარკა დაჯდა. ტრიბუნები 62 ათას მაყურებელს დაიტევს. გარდა ამისა, „არენა შალკეზე" საპატიო სტუმრებისთვის განკუთვნილი 72 ლოჟაა განლაგებული. ერთი წლით ასეთი ლოჟის დაქირავება 144 ათასი მარკა ღირს. სტადიონს 560-ტონიანი გასახსნელი სახურავი ამშვენებს, მინდვრის საფარის გამოცვლა კი პრობლემას არ წარმოადგენს. შეხვედრის ყველაზე საინტერესო მომენტები ერთდროულად ოთხ ეკრანზე განმეორდება. თითოეული მათგანის ფართობი კი 35 კვადრატული მეტრია. თანხის ნაწილი, 225 მილიონი მარკა, კლუბმა ბანკთა კონსორციუმისგან გრძელვადიანი (ჩვენი ქვეყნისთვის ასე პოპულარული) კრედიტით აიღო. ეს ვალი 2016 წლამდე უნდა დაიფაროს, შესაბამისად, ყოველწლიურად „შალკეს" ბიუჯეტიდან 22 მილიონი მარკის გადახდა მოუწევს. თუმცა უნდა ითქვას, რომ რუდი ასაუერს ეს სულაც არ აშინებს, რადგან 41 ათასი აბონემენტი უკვე გაყიდულია და ყველა საპატიო ლოჟა — გაქირავებული. გელზენკირხენელებს ისღა დარჩენიათ, საყვარელი გუნდის გამარჯვებებით იხარონ.

**გაგა ხუციშვილი**



# ბერტი ფოგთსი ჩამოქუვეითდა

**ფეხბურთის** გერმანელ სპეციალისტებს კარგი გასავალი აქვთ. სულ ახლახან ოტო რეჰეგალი საბერძნეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. უსაქმოდ არც სახელოვანი ბერტი ფოგთსი დარჩა. ადრევე ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ამ კაცს ერაყისგან ათი წლის წინ დაჩაგრული ქუვეითის ფეხბურთელთა ნაკრებს ჩააბარებდნენ, მაგრამ მაშინ ეს ცნობა თავად ფოგთსმა უარყო. ამჯერად კი ცნობილი გახდა, რომ მხარეები შეთანხმდნენ და გერმანელი სპეციალისტი თავის მომავალს ერთი წლით ქუვეითელებს დაუკავშირებს. როგორც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი მოჰამედ ოტმანი აცხადებს, მწვრთნელი სექტემბრიდან შეუდგება მოვალეობის შესრულებას.

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა
### III ტური

**კარლსრუე 2:0 ზაარბრიუკენი**

1:0 ა. ფრიცი (45), 2:0 კრაბტი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:1 | 7 |
| აინტრახტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ბოხუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| კარლსრუე | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| არმინია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| მაინცი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ბაბელსბერგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ალენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| ჰანოვერი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ფიურტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვალდჰოფი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| შვაინფურტი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ალემანია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| როიტლინგენი | 3 | 0 | 1 | 2 | 6:9 | 1 |
| ობერჰაუზენი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 |
| უნტერჰახინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| დუისბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:10 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

## პორტუგალია

### I ლიგა. I ტური

**მარიტიმუ 3:1 სპორტინგი**

1:0, 2:0 გაუჩო გომეში (34, 49), 2:1 ვეანდრო (67), 3:1 ვან დერ ჰააგი (69)

## ამხანაგური მატჩები

**ლეჩე (იტალია) 1:1 ბოლონია (იტალია)**

0:1 ლოკატელი (77), 1:1 ჩევანტონი (83)

**ევერტონი (ინგლისი) 1:0 ესპანიოლი (ესპანეთი)**

1:0 ჟორ-მაქს მური (24)

**ბეტისი (ესპანეთი) 1:1 მალიორკა (ესპანეთი)**

0:1 ლუკე (33), 1:1 ხუანიტო (81)

# NANDROLONE





იოზეფ ბლატერს ხელები ედგარ დავიდსმა ააწევინა

# პიტბულმა ბლატერს შეუღრინა

## ფიფას პრეზიდენტმა საქმე საბოლოდ გაიხადა

**ტურინის** „იუვენტუსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველ ედგარ დავიდსს საფეხბურთო არდადეგების დროს ჟურნალისტებისა და ჭორ-მართლის მოყვარულ ცნობისმოყვარეთა ყურადღება არ დაჰკლებია. სურინამული წარმოშობის ფეხბურთელი მაისში აკრძალული ანაბოლიკ-სტეროიდის, ნანდროლონის მოხმარებისთვის ფიფამ და იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა ფეხბურთიდან მოკვეთეს. თითქმის სამი თვე გავიდა, მაგრამ დავიდსი ვერ დაშოშმინდა, საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას ძალუმად ცდილობს და მათ, ვინც გზად ელობება, საკადრის პასუხსაც სცემს. პიტბულად მონათლული ფეხბურთელის რისხვა ამჯერად უბრალო ჟურნალისტზე, ანაც ლაბორატორიის მუშაკზე გაცილებით მაღალ ჩინოსანს დაატყდა თავს. დავიდსი მისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვს. ის კაცი კი, ვისაც იგი სასამართლოთი აშინებს, არც მეტი, არც ნაკლები, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი გახლავთ.

ზეპ ბლატერი ამ გაუგებრობაში თავისივე წინდაუხედაობის გამო მოხვდა. დავიდსის ადვოკატებს პირველ აგვისტოს ჟურნალისტებისთვის მიცემული მისი ინტერვიუ არ გამოჰპარვიათ და პრეზიდენტი არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულეს.

როგორც ამბობენ, ბლატერმა უმალ აფრინა დავიდსთან სინანულით სავსე წერილი, მაგრამ დაზარალებული მხარისთვის ეს არასაკმარისი აღმოჩნდა. დავიდსი და მისი ხალხი მოითხოვს, რომ ფიფას პრეზიდენტმა, ტელევიზიით მოიხადოს ბოდიში, სადაც მან ფეხბურთელისა და ნანდროლონის ურთიერთობაზე ისაუბრა. ბლატერმა ყველას გასაგონად ილაპარაკა დავიდსის ორგანიზმში არსებული ნანდროლონის გაუგონარ სიჭარბეზე და კიდევ რამდენიმე აკრძალული სტიმულატორის კვალზე. თუმცა კი ვარაუდით, რადგან ლაბორატორიული ანალიზების საბოლოო პასუხი, არსებობდა თუ არა დავიდსის ორგანიზმში ნანდროლონის გარდა სხვა პრეპარატები, ცნობილი არ იყო. სწორედ ეს დაიხვიეს ხელზე სათვალიანის ადვოკატებმა და ამსტერდამის სასამართლოს მიმართეს. სხდომის თარიღი, რომელიც ბლატერ — დავიდსის ურთიერთობას გაარკვევს, მომავალ კვირას დადგინდება.

ეტყობა, დავიდსი, „გალმა შეედავეს“ პრინციპით მოქმედებს. ცხადია, ბლატერის ბოდიში მის რვათვიან დისკვალიფიკაციას ვერ უშველის.

„იუვენტუსის“ ნახევარმცველის მცდელობა, როგორმე ფრანკ დე ბურის შედეგს მიაღწიოს, უსაფუძვლოდ ჩანს. მართალია, ზეპ ბლატერმა ცოტათი გადაამლაშა და „პიტბულს“ თავმოყვარეობა შეულახა, მაგრამ, ვგონებთ, ნანდროლონის ხმარების ბრალდების მოხსნას, თუნდაც დე ბურივით სასჯელის ორ თვემდე შემცირებას, დავიდსი ეგზომ დიდი სკანდალის აგორებითაც ვერ შეძლებს.

**გიორგი გამარდაშვილი**

# დელ ბოსკე ვარსკვლავებში დაიკარგა



ლუიშ ფიგუ (მარცხნივ) და ზინედინ ზიდანი

**ბოლო დღეებია,** ბევრს ლაპარაკობენ, „რეალი“ ისე ვერ თამაშობს, ზიდანის, ფიგუსა და რაულის პატრონს რომ ეკადრებარ.

სეზონისწინა ამხანაგურ მატჩებში მადრიდელებმა არცთუ დამაჯერებლად სძლიეს ფრანგული პირველი დივიზიონის ახალწვეულ „მონპელიეს“ და მექსიკურ „კრუს. ასულს“. დამარცხდნენ ეგვიპტურ „ალ აჰლისთან“ და „დეპორტივოსთან“ და საამაყოდ მხოლოდ „ნიონის“ კარში გატანილი თორმეტი გოლი აქვთ, თუმცა „ნიონის“ დაჩაგვრა თავისთავად საამაყო არ უნდა იყოს.

ადრეც ვწერდით, რომ არავარსკვლავურად თამაშის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ესპანური პრესა ვისენტე დელ ბოსკეს ჭოჭმანს ასახელებს. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელი ჯერაც ვერ გარკვეულა ძირითად შემადგენლობაში. ვინ დასვას სათადარიგოთა სკამზე — იესარი თუ კასილიასი, ელგერა თუ მაკალელე? მოიძებნება თუ არა ადგილი მაკმანამანისთვის? მოკლედ, კითხვა ბევრია, რაც მოთამაშეებს გაურკვევლობაში უნდა ამყოფებდეს და აბნევდეს.

თუმცა ამავე დროს თავად ფეხბურთელები ცდილობენ, არ აღელდნენ. ელგერა ამბობს: „ჩვენ, ფეხბურთელები, სრულიად მშვიდად ვართ და მოუთმენლად ველით სეზონის დაწყებას. დარწმუნებული ვარ, სულ მალე არანაირი პრობლემა აღარ გვექნება“.

რაკი ფეხბურთელები არ ნერვიულობენ, ყოველ შემთხვევაში, არ იმჩნევენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ძირითად შემადგენლობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა „რეალის“ უხეირო თამაშის მიზეზი არ უნდა იყოს.

გაჩნდა მეორე ვერსიაც — ზინედინ ზიდანი ახალ გუნდს ვერ შეეწყოო. ამ ვარიანტზე პასუხის გაცემა კი კლუბის სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ ითავა. ის ამბობდა: „თამაშს თერთმეტი ფეხბურთელი ქმნის და არა ცალკეული ვარსკვლავები. გასაგებია, რომ ზიდანის მოსვლით ქომაგთა მოთხოვნებიც გაიზარდა, თუმცა რამდენიმე ამხანაგური მატჩით მსჯელობა და დასკვნების გამოტანა არ შეიძლება. ცხადია, „ალ აჰლისთან“ და „დეპორტივოსთან“ ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ შეცდომების გამოსწორება ხომ დაგვიანებული არ არის. ამიტომ საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ“.

აღვნიშნოთ, რომ თავად ზიდანმა თქვა, ჯერჯერობით მხოლოდ სამოცი პროცენტით ვარ მზადო.

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიელი** ნახევარმცველი ფაბიო პეკია „ნაპოლიდან“ „ბოლონიაში“ გადაბარგდა. რამდენიმე დღეში იგი ახალ კლუბთან ერთად წინასასეზონო მზადებას დაიწყებს. 28 წლის ფეხბურთელი წინა სეზონში ნეაპოლური გუნდის ღირსებას იცავდა, მანამდე კი „ტორინოში“, გენუის „სამპდორიასა“ და „იუვენტუსში“ თამაშობდა, ხოლო კარიერა სერია C-ს კლუბ „აველინოში“ დაიწყო. აღსანიშნავია, რომ 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე პეკია იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც ირიცხებოდა. მან „ბოლონიასთან“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**ესპანური „რაიო ვალეკანოს“ მეკარე კეისი კელერი, რომლის ტრანსფერიც „ბეშიქთაშში“ ჩაიშალა, კარიერას ლონდონის „ტოტენჰემში“ გააგრძელებს. 31 წლის ამერიკელი მეკარე პრემიერლიგაში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა და ამ დღეებში სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. უნდა აღინიშნოს, რომ კელერი 1991-დან 99 წლამდე თამაშობდა ინგლისში. იგი ჯერ „მილუოლის“, ხოლო შემდეგ „ლესტერის“ ღირსებას იცავდა, ორი წლის წინ კი „რაიო ვალეკანოში“ გადაბარგდა.**

**ბრაზილიის** ჩემპიონატის დაწყებიდან ოთხი ტურის თავზე „ვასკუ და გამას“ მწვრთნელი ჟოელ სანტანა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ამ ოთხი თამაშიდან გუნდმა მხოლოდ ერთი მოიგო, ორჯერ ფრედ ითამაშა და ერთხელ დამარცხდა. ამბიციური „ვასკუს“ თავკაცებს კი ეს შედეგი, ცხადია, არ აკმაყოფილებთ. გუნდს მომავალ რამდენიმე ტურში მწვრთნელის ასისტენტი ალი პორტელა გაუძღვება, ხელმძღვანელობამ კი განაცხადა, რომ რამდენიმე ღირსეული კანდიდატი უკვე შეარჩიეს.

**იტალიური „იუვენტუსის“ სატრანსფერო პოლიტიკა უკვე უზბეკეთსაც გადასწვდა. ტურინულმა კლუბმა 17 წლის ილიას ზეიტულაევთან გააფორმა ექვსთვიანი კონტრაქტი. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელი სათადარიგო გუნდში იქნება, ხოლო შემდეგ, თუ თავს გამოიჩენს, იტალიაში მეტი ხნით დარჩება. უზბეკმა „იუვენტუსის“ სელექციონერების ყურადღება საფრანგეთში ჩატარებულ ტურნირზე მიიპყრო, რითაც პროვინციულ ქალაქ ანგრენის გუნდში ითამაშა. მაშინ უზბეკები ნახევარფინალში „ნანტთან“ დამარცხდნენ.**

# მეხდაცემულნი

**ფეხბურთს** გვატემალაშიც თამაშობენ. მათ ჩემპიონატი და ამ ჩემპიონატში მესამე ლიგაც კი ჰქონიათ. თუმცა, რაც წინა შაბათს ამ ქვეყნის დედაქალაქიდან ცოტა მოშორებით მოხდა, გაცილებით სენსაციური და ცოტა არ იყოს დაუჯერებელია.

მესამე ლიგის ერთ-ერთი მატჩი, ძლიერი ავდრის მიუხედავად, მაინც დაიწყო. კოკისპირულად წვიმდა, აქა-იქ ელავდა კიდეც. დაიქუხა და მეხმა განმუხტვისთვის სწორედ ის ადგილი აირჩია, სადაც ოცდაორი ლაფში ამოთხვრილი კაცი ბურთს დასდევდა. მეხი საფეხბურთო მინდვრისა და ტრიბუნების გამყოფ ლითონის ღობეს დაეცა. გამტარი, რაღა თქმა უნდა, მიწის ის ასმეტრიანი მონაკვეთი აღმოჩნდა, სადაც ფეხბურთელები თამაშობდნენ. უმრავლესობა გადარჩა. ათი კაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო ორს, თექვსმეტი წლის რონბინ იუმანსა და ოცდაოთხი წლის ლესტერ მარიოკვინს, არ გაუმართლათ. ისინი ადგილზევე გარდაიცვალნენ.

**გიორგი გამარდაშვილი**

# მარსელ დესაი: რომი დიდებული ქალაქია, კაპელო ჩემი სულიერი მამა

**იტალიური** მედია სულ უფრო ხშირად წერს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ მარსელ დესაის „რომაში“ გადასვლაზე. ამას ისიც დაემატა, რომ „ჩელსის“ ფრანგმა ლეგიონერმა ცოტა ხნის წინ თქვა, სიამოვნებით დავბრუნდები იტალიაშიო, ხოლო ფაბიო კაპელოს, რომელიც, მოგეხსენებათ, ამჟამად „რომას“ უდგას სათავეში, თავისი სულიერი მამაც უწოდა.

33 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც კაპელოსთან ურთიერთობა 1993-96 წლებში, „მილანში“ თამაშისას ჰქონდა, გაზეთ „კორიერე დელო სპორტს“ უთხრა: „რომი დიდებული ქალაქია, ჩემი მეუღლე იქ ცხოვრებას ნატრობს, კაპელოზე დიდი მწვრთნელი კი ბევრი არ მეგულება“.

დესაი დიდ „მილანში“ თამაშობდა, ამ გუნდთან ერთად იგი ორჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, მოიგო ჩემპიონთა თასი და ევროპის სუპერთასი, შემდეგ კი პრემიერლიგას მიაშურა. ახლა კაპელოს კვლავ სურს, იტალიაში, ოღონდ ამჯერად „რომაში“ დააბრუნოს გამოცდილი მცველი, ხოლო სანაცვლოდ რომაული კლუბი თანახმაა, ლონდონელებს 6 მილიონი დოლარი გადაუხადოს. დესაისთან მოლაპარაკებების წამოწყებამდე, მოგეხსენებათ, „რომა“ აქტიურად ცდილობდა პარმელი ფაბიო კანავაროს ან მიუნხენის „ბაიერნის“ განელი მცველის სამუელ კუფურის გადაბირებას, თუმცა ხელი მოეცარა.

კაპელოს კი გუნდში სერია A-ს სეზონის დაწყებამდე ეს მცველები ჰყავს: ვალტერ სამუელი, ანტონიო კარლოს ძაგო, ჯონათან ძებინა, ალდაირი და სებასტიან სივილია, დანარჩენებს ტრავმები აწუხებთ.

**ნიკა შუბლაძე**



მარსელ დესაი



ფაბიო კაპელო

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

**არსენალი:** ნელსონ ვივასი (ინტერი, იტალია), შტეფან მალცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დევიდ ნობლი (უოტფორდი), ალექს მანინგერი (ფიორენტინა, იტალია); **ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), იუნიჩი ინამოტო (გამბა ოსაკა, იაპონია).**

**ასტონ ვილა:** ჯულიან ჯოუჩიმი (ქოვენთრი), გარეთ საუთგეიტი (მიდლსბრო), დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი); **ჰასან კაჩლული (საუთჰემპტონი), მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი), ოლოფ მელბერგი (რასინგი, ესპანეთი), პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), დანი გარსია (ბარსელონა, ესპანეთი), ბოშკო ბალაბანი (დინამო (ზაგრები, ხორვატია)**

**ბლექბერნი:** ლი ჰარდი (ოლდემი), მაიკლ ბინგემი (მენსფილდი); **გორდონ გრეერი (კლაიდბანკი, შოტლანდია), კორადო გრაბი (ტერნანა, იტალია), თუგაი ქერიმოღლუ (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია), ალან მაჰონი (სპორტინგი, პორტუგალია), ნათან ბლეიქი (ქოვენთრი), ჯიმი ტრაორე (ლივერპული).**

**ბოლტონი:** მეთიუ გლენონი (ჰალი), ჯონ ოკენი (ბლექპული), რობი ელიოტი (ნიუკასლი), მეტ კლარკი (ფულემი); **ნიკო საუთჰოლი (ჯილინგემი), ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ჰენრიკ პედერსენი (სილკებორგი, დანია), მეტ კლარკი (ბრედფორდი), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია).**

**ჩარლტონი:** ენდი ჰანტი (თამაში მიატოვა); **შონ ბარტლეტი (ციურიხი, შვეიცარია), ჯეისონ იუელი (უიმბლდონი), ლუკ იუნგი (ტოტენჰემი), გევინ პიკოკი (ქუინზ პარკ რენჯერსი).**

**ჩელსი:** გუსტავო პოიეტი (ტოტენჰემი), დენის უაიზი (ლესტერი), ბერნარ ლამბური (ბასტია, საფრანგეთი), ნილ ბარეტი (პორტსმუთი), კორტნი პიტი (პორტსმუთი), სტივენ ბროდი (საუთენდი), ჯეი რიჩარდსონი (ექსეტერი), სემ პარკინი (ნორთჰემპტონი), რობერტ უოლესტონი (ნორთჰემპტონი), სტიუარტ რედინგტონი (მენსფილდი), ფრანკ ლებეფი (მარსელი, საფრანგეთი), ჯონ ჰარლი (ფულემი); **უილიამ გალასი (მარსელი, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ვესტ ჰემი), ემანუელ პეტი (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონ ნაითი (ქუინზ პარკი), ბუდევინ ზენდენი (ბარსელონა, ესპანეთი).**

**ევერტონი:** ფრენსის ჯეფერსი (არსენალი), შონ დოჰერტი (ფულემი), მაიკლ ბოლი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია); **ტომაშ რაძინსკი (ანდერლეხტი, ბელგია), ალან სტაბსი (სელტიკი, შოტლანდია), ფილიპ ჯევონსი (გრიმსბი), სტივენ ჰიუზი (უოტფორდი).**

**დერბი ქაუნთი:** რორი დელაპი (საუთჰემპტონი); **რიკარდო მასპერო (ტორინო, იტალია), დანიელე დაინო (მილანი, იტალია), ფაბრიციო რავანელი (ლაციო, იტალია).**

**ფულემი:** საიმონ მორგანი (ბრაიტონი), პოლ პეშისოლიდო (შეფილდ იუნაიტედი); **ლუიშ ბოა მორტე (საუთჰემპტონი), აბდელსალიმ უადუ (ნანსი, საფრანგეთი), მეტ კლარკი (ბოლტონი), შონ დოჰერტი (ევერტონი), ედვინ ვან დერ სარი (იუვენტუსი, იტალია), ჯონ ჰარლი (ჩელსი).**

**იფსვიჩი:** რიჩარდ რაიტი (არსენალი); **პაბლო გონსალეს კუნაგო (სელტა, ესპანეთი), კრის ჰოგი (იორკი), ენდი მარშალი (ნორვიჩი), ტომი მილერი (ჰარტლპული).**

**ლიდსი:** უორენ ფინი (ბორნმუთი), კევინ დიქსონი (ბარნსლი); **რობი კინი (ინტერი, იტალია).**

**ლესტერი:** სტიუარტ კემპბელი (გრიმსბი), ლოური დადფილდი (ჰალი); **დენის უაიზი (ჩელსი), იან უოქერი (ტოტენჰემი).**

**ლივერპული:** იან არმსტრონგი (პორტვეილი), ჯიმი ტრაორე (ბლექბერნი), კრისტიან ციგე (ტოტენჰემი); **იონ არნე რიისე (მონაკო, საფრანგეთი), მილან ბაროში (ბანიკი, ჩეხეთი).**

**მიდლსბრო:** ნაილ მედისონი (დარლინგტონი), კრისტიან კარამბუ (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **ჟილარდ ნემეტი (ინტერი, სლოვაკეთი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), ფრანსუა გრენე (ბორდო, საფრანგეთი), ჯონათან გრინინგი (მანჩესტერ იუნაიტედი), მარკ უილსონი (მანჩესტერ იუნაიტედი).**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** როდრი ჯოუნსი (როტერჰემი), ეშლი დოდი (პორტვეილი), ჯოშ უოქერი (შრიუსბერი), ტედი შერინგემი (ტოტენჰემი), მარკ უაიტმენი (ბარი), ჯონათან გრინინგი (მიდლსბრო), მარკ უილსონი (მიდლსბრო); **რუუდ ვან ნისტელროი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო, იტალია), როი კეროლი (უიგანი).**

**ნიუკასლი:** დეს ჰამილტონი (კარდიფ სიტი, უელსი), სტივენ გლასი (უოტფორდი); **რობი ელიოტი (ბოლტონი), კრეიგ ბელამი (ქოვენთრი), ლორან რობერი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი).**

**საუთჰემპტონი:** ფილ უორნერი (კემბრიჯი), ლუიშ ბოა მორტე (ფულემი), ჰასან კაჩლული (ასტონ ვილა); **რორი დელაპი (დერბი ქაუნთი), ანდრეს სვენსონი (ელფსბორგი, შვედეთი), ჯაჩინტო ელა იენი (ესპანიოლი, ესპანეთი).**

**სანდერლენდი:** კარსტენ ფრედგაარდი (კოპენჰაგენი, დანია), მილტონ ნუნიეში (ნასიონალი, ურუგვაი); **ნიკოლას მედინა (არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა), ბაკი მერჩიმეკი (ჰაარლემი, ჰოლანდია), ლილიან ლასლანდი (ბორდო, საფრანგეთი), დავიდ ბელიონი (კანი, საფრანგეთი).**

**ტოტენჰემი:** ნაილ ფინი (პიტერბრო), რამონ ვეგა (სელტიკი, შოტლანდია), სოლ კემპბელი (არსენალი), ლუკ იუნგი (ჩარლტონი); **ტედი შერინგემი (მანჩესტერ იუნაიტედი), გუსტავო პოიეტი (ჩელსი), შონ ჯალალი (ჰასტინგსი), გორან ბუნიევჩევიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კრისტიან ციგე (ლივერპული), კეისი კელერი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი).**

**ვესტ ჰემი:** მარკ კელერი (სტრასბური, საფრანგეთი), ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), სტიუარტ პირსი (მანჩესტერ სიტი), ტომი უილიამსი (პიტერბრო), სტივ ანგესი (კემბრიჯი), ამოს ფოიევა (ბორნმუთი); **სებასტიან შემელი (მეცი, საფრანგეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ანდრეს დალესანდრო (სან ლორენსო, არგენტინა).**

## ესპანეთი

**ალავესი:** ხავი მორენო (მილანი, იტალია), კოზმინ კონტრა (მილანი, იტალია), ივან ტომიჩი (რომა, იტალია), ივან ასკოიტია (რაიო ვალეკანო), დიაგო განანი (სალამანკა); **ბოგდან მარა (დინამო, რუმინეთი), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), ხოსე ემილიო ამავისკა (რასინგი), ჩომინ ნაგორე (ნუმანსია), ალბერტო სერანო (ესპანიოლი), კარლოს ლორენსი (ატლეტიკო), რუბენ ნავარო (ნუმანსია).**

**ბეტისი:** **მინხო (რაიო ვალეკანო), ვაშინგტონ ტაისი (რასინგი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია).**

**ბილბაო:** იმანოლ ეჩებერია (რაიო ვალეკანო); **აიტორ ოკიო (ოსასუნა), ხუან კარლოს სივორი (კორდობა), სესარი (სევილია), ლუის პრიეტო (ეიბარი), ურაკა (ესტრემადურა), დიეგო კარანკა (ესტრემადურა), ხორხე პერესი (ესტრემადურა).**

**ბარსელონა:** ივან დე ლა პენია (ლაციო, იტალია), ემანუელ პეტი (ჩელსი, ინგლისი), სიმაო საბროსა (ბენფიკა, პორტუგალია), დანი გარსია (ასტონ ვილა, ინგლისი), ბუდევინ ზენდენი (ჩელსი, ინგლისი); **ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ფაბიო როჩემბაკი (პორტუ ალეგრი, ბრაზილია), ფილიპ კრისტენვალი (მონაკო, საფრანგეთი), პატრიკ ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი, არგენტინა), ხავიერ სავიოლა (რივერ პლეიტი, არგენტინა).**

**სელტა:** პაბლო კუნაგო (იფსვიჩი, ინგლისი), ხუან ხაიო (უნიონ სანტა ფე, არგენტინა), გორან ჯოროვიჩი (დეპორტივო); **ოლაისი (პონტევედრა, ბრაზილია), ივან კავიედესი (ვალიადოლიდი), ჯაკობო კამპოსი (კომპოსტელა), ხუან მენა (ხერესი), პაბლო კონტრერასი (რასინგი), ფლორიან მორისი (მარსელი, საფრანგეთი), იერეი ორტეგა (ლას პალმასი), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია)**

**დეპორტივო:** ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), ტურუ ფლორესი (სპორტინგი, პორტუგალია), სალაჰედინ ბასირი (ლილი საფრანგეთი), პეტერ კოუბა (იაბლონეცი, ჩეხეთი), სებასტიან აბრევუ (ნასიონალი, ურუგვაი); **ექტორ ბერენგელი (სევილია), ხაიმე (რასინგი), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ოსასუნა), ჩანგუი (ელჩე), გაბრიელ შურერი (ლას პალმასი), აბრეუ (სან ლორენსო, არგენტინა), დავიდ პირი (ნუმანსია), მანელი (ნუმანსია), ივან პერესი (ნუმანსია), ენრიკე (ფეროლი), აირა (ფეროლი), გორან ჯოროვიჩი (სელტა), სერხიო გონსალესი (ესპანიოლი).**

**ესპანიოლი:** კრისტობალი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), დიეგო დე ლუკასი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), ალბერტო სერანო (ალავესი), კოსტელ გალკა (ვილიარეალი), ხორდი ლარდინი (ატლეტიკო), აკინორი ნიშიზავა (სერეზო ოსაკა, იაპონია), ჯაჩინტო ელა იენი (საუთჰემპტონი, ინგლისი), სერხიო გონსალესი (დეპორტივო); **ალექს ფერნანდესი (ოსასუნა), დავიდ აგანსო (რეალი), ფრანი (ლეიდა), მანელი (სპორტინგი), ხუან ფრანსისკო პალენსია (კრუს ასული, მექსიკა), კატალინ მუნტიანუ (ატლეტიკო).**

**ლას პალმასი:** ამადორი (ერკულესი), გაბრიელ შურერი (დეპორტივო), მარიო ტურდო (რენი, საფრანგეთი), ანტონიო გიარე (ვილიარეალი), იერეი ორტეგა (სელტა); **ფაბიან ტევენე (სევილია), ნეირა (უნიონ ესპანიოლა, ჩილე), სოკორო (ელჩე), კუესადა (უელვა), ვიქტორი (უნივერსიდადი), ალბერტო (უნივერსიდადი), ვეგა (გრანადა), ალექსი (ტენერიფე).**

**მალაგა:** მარტინ რივასი (ინტერი, იტალია), ფრანსისკო რუფეტე (ვალენსია), გონსალო დე ლოს სანტოსი (ვალენსია); **ბოშკო ლეკო (ჰაიდუკი, ხორვატია), დუდა (კადისი), ავულე კუაბ არიკი (ორივე ჰართს ოფ ოკი, განა), გარსია ხერარდო (ვალენსია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), კარლუშ ლიტუში (ბოავიშტა, პორტუგალია), მარსელო რომერო (ენეაროლი, ურუგვაი).**

**მალიორკა:** ხოსე კარერასი (ატლეტიკო), არმანდო ალავესი (ატლეტიკო), იოვან სტანკოვიჩი (ატლეტიკო), ხერმან ბურგოსი (ატლეტიკო); **ფათიჰ აკიელი (გალათასარაი, თურქეთი), სამუელ ეტოო (რეალი), ხოსემი, ჯოკაი (ორივე ლეიდა), ვისენტე (სპორტინგი).**

**ოსასუნა:** კუკო სიგანდა (თამაში მიატოვა), ალექს ფერნანდესი (ესპანიოლი), ალფონსო ვერა (სევილია), ანხელ ლუისი, რისტო ვიდაკოვიჩი, აიტორ ნუნო (ყველა დეპორტივო), ანხელი (სევილია), აიტორ ოკიო (ბილბაო), ლორენსი (ატლეტიკო), გარსია ხერარდო (ვალენსია); **ჯონ ალოიზი (ქოვენთრი, ინგლისი), პუნიალი, მორალესი (ორივე ლეგანესი), ვილია (ფეროლი), მოა (ლევანტე), ალმუნია (საბადელი), ხერარდო დამიან რივერო (ალმაგრო, არგენტინა), რაფაელ ოლარა (უნივერსიდადი, ჩილე), დანიელ გასტონ მონტენეგრო (მარსელი, საფრანგეთი).**

**რაიო ვალეკანო:** გუსტავო ბარტელტი (რომა), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (ვილიარეალი), მინხო (ბეტისი), კეისი კელერი (ტოტენჰემი, ინგლისი); **ივან ასკოიტია (ალავესი), იმანოლ ეჩებერია (ბილბაო), ზოლტან გრანოვი (უიპეშტი, უნგრეთი), მიჩელ II (სევილია), რივერა (ფეროლი), ჩიჩი პერაგონი (ლევანტე), ერიკ რუა (ტრუა, საფრანგეთი).**

**რეალი:** მანუელ სანჩისი (თამაში მიატოვა), დავიდ აგანსო (ესპანიოლი), სამუელ ეტოო (მალიორკა), ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (ბენფიკა, პორტუგალია), ტოტე (ვალიადოლიდი); **როდრიგო ფაბრი (სპორტინგი, პორტუგალია), ედვინ კონგო (ტულუზი, საფრანგეთი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (სოსიედადი), ხულიო ალვარესი (რასინგი), ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია).**

**სოსიედადი:** ესტებან ფუენტესი (თამაში მიატოვა), სანტოს კორეა ჟულიო სეზარი (რეალი); **ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), ხოსე ბარკერო (ეიბარი), ალდეონდო (კორდობა), იკერ ალვარესი (ბეასანი), იგორ ცვიტანოვიჩი (დინამო, ხორვატია), ბიორნ ტორე კვარმე (სენტ ეტიენი, საფრანგეთი).**

**სევილია:** ექტორ ბერენგელი (დეპორტივო), ფაბიან ტევენე (ლას პალმასი), სესარი (ბილბაო); **ალფონსო ვერა (ოსასუნა), ანხელი (ოსასუნა), მარიანო რამონ ტოედტლი (სალამანკა).**

**ტენერიფე:** მისტა, კურო ტორესი (ორივე ვალენსია), ლუის გარსია (ვალიადოლიდი), ალექსი (ლას პალმასი); **ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია).**

**ვალენსია:** ზლატკო ზაჰოვიჩი (ბენფიკა, პორტუგალია), დიდიე დეშამპი (მონაკო, საფრანგეთი, მწვრთნელი), გარსია ხერარდო (მალაგა), გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია), ჯონათან ლოპესი (ნუმანსია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვენეცია, იტალია); **კარლოს მარჩენა (ბენფიკა, პორტუგალია), მისტა (ტენერიფე), კურო ტორესი (ტენერიფე), ხერარდო (ოსასუნა), ლივერო პარი, დენის სერბანი, ხავი ნავარო (ყველა ელჩე), რუბენ ნავარო, კურო მონტოია (ორივე ნუმანსია), ხისკო (უელვა), ფრანსისკო რუფეტე (მალაგა), გარსია ხერარდო (ოსასუნა), გონსალო დე ლოს სანტოსი (მალაგა), სალვა ბალესტა (ატლეტიკო).**

**ვალიადოლიდი:** ალბერტო, რაული, ხოსე ანტონიო გარსია კალვო (ყველა ატლეტიკო), იან ჰაინცე (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი), კვატემოკ ბლანკო (ნეკაქსა, მექსიკა); **გასპარი, მარიო (ორივე ატლეტიკო), ლუის გარსია (ტენერიფე), ტოტე (რეალი).**

**ვილიარეალი:** ორიოლ ლოსანო (ლეიდა), კოსტელ გალკა (ესპანიოლი), კიკე მარტინი (სალამანკა), ხავი ვენტა (ფეროლი), ანტონიო გიარე (ლას პალმასი), სერხიო მარტინეს ბალესტეროსი (რაიო ვალეკანო).

**სარაგოსა:** სერგეი გურენკო (რომა, იტალია), ხუან ესნაიდერი (იუვენტუსი, იტალია); **ესკერდინია (პორტუ, პორტუგალია), გორან დრულიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ლუჩანო გალეტი (ესტუდიანტესი, არგენტინა).**

**შენიშვნა: მუქი შრიფტით ახალწვეულნი, ღია შრიფტით გასხვისებულნი**

მსოფლიოს ჩემპიონატი. ედმონტონი (კანადა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლილიპუტები სამძლეოსნო რუკაზე








ედმონტონში იყო ყველაფერი: მაყურებლისგან ათვალწუნებულ ოლგა ეგოროვას მცველი დაჰყვებოდა, ესპანელი მომარათონე ევა სანსი დაღლილობისგან ფინიშზევე ჩაიკეცა, დენის მიჩელმა კარიერის ბოლო ესტაფეტის მოგებისას უფრო მოიწყინა, ვიდრე გაიხარა და ასე შემდეგ

**კვირას** კანადურ ედმონტონში ისტორიამ მიიბარა მძლეოსნობის ფედერაციათა საერთაშორისო ასოციაციის მე-8 მსოფლიოს პირველობა, რომელზეც ვერ ითქმის, რომ წინა ჩემპიონატებს ბევრად სჯობდა ან ჩამორჩებოდა. ათლეტებს ხშირად საკმაოდ ხალვათი ტრიბუნების წინ უხდებოდათ გამოსვლა, ხანდახან მაყურებელი თანამეგობრობის სტადიონს თითქმის ავსებდა. ნებისმიერი მსოფლიოს ჩემპიონატივით ბლომად იფრქვეოდა ემოციები, ხოლო მსოფლიოს რეკორდი ერთიც არ დამყარებულა.

სანიშანსვეტო მოვლენებიდან ორი გამოირჩა: დიდმა ეთიოპმა სტაიერმა ჰაილე გებრესილასიემ 8(!) წლის მანძილზე პირველად წააგო, ისევე, როგორც მარიონ ჯონსმა ბოლო 4 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, მორის გრინმა ტიმ მონტგომერის პრინციპულად გაუსწრო, ჰიშამ ელ გურუჯი არ გამწარებულა, როგორც სიდნეის ოლიმპიადაზე, იან ჟელეზნიმ განიმტკიცა მსოფლიოს პირველი მეშუბის სახელი, დოპინგით თუ უიმისოდ ოლგა ეგოროვა ჩემპიონი გახდა, მისი კრიტიკოსი გაბრიელა საბოც და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ყოველივე ჩემპიონატის მსვლელობისას, ვგონებ, კარგა ვრცლად გიამბეთ და ახლა უპრიანი იქნება, თუ ჩემპიონატს გლობალური თვალსაზრისით განვიხილავთ.

უეჭველია, მძლეოსნობის მსოფლიო ფლაგმანებად ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი რჩებიან, თან პირველმა მეორეს ედმონტონში ტრადიციულად ცოტათი გაუსწრო. მესამე დევის, ჩინეთის მძლეოსნობისა კი რა ვთქვათ. ამ ქვეყანამ, რომელმაც სიდნეის ოლიმპიადაზე მედლები ბლომად დააგროვა, ედმონტონი უმედლოდ (!) დატოვა.

იანკებმა და ჩრდილოსლავებმა კი ხვეტეს და ხვეტეს ჯილდოები. მათ ყულაბაში ყველა მედლის 28 პროცენტი, ანუ თითქმის მესამედია და ზუსტად მესამედს შეადგენს ამ ორთა წილი ოქროს მედლებში. სადღაც ჩემპიონატის შუაში რუსებს წინ გასვლის შანსი მიეცათ. ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით ისინი გამოკვეთილად უსწრებდნენ ამერიკას, უნდოდათ ერთი ოქროც და პირველ პოზიციაზე ავიდოდნენ, მაგრამ ბოლო კვლავ იანკების იყო.

მათ, ვინც თუნდ ერთი ბრინჯაოთი დაჯილდოებული ქვეყნების სიაში (იხილეთ ცხრილი) საქართველოს ძებნას დააპირებს, მოვუწოდებთ, ამ საქმეს თავი დაანებოს. სამაგიეროდ, თვალში მოგვხვდება ადრეული მძლეოსნობისთვის ფრიად უცნობი ქვეყნები — ზოგი რუკაზე სანთლით საძებნი — რომელთაც ჩემპიონატი ამაყად დატოვეს. ბაჰამის კუნძულების მოსახლეობა 275 ათასია, მაგრამ ამ ქვეყანამ აიღო 1 ოქრო და 2 ვერცხლი, გაუსწრო ბრიტანეთს, ესპანეთსა და საფრანგეთს, სადაც მძლეოსნობის ტრადიცია ვითომ ბევრად ღრმა უნდა იყოს. გვერიდება, მაგრამ ვაღიარებთ, რომ სენტ კიტსისა და ნევისის სახელმწიფოს არსებობა აქამდე არ გაგვეგო, 15 წლის წინანდელ ატლასზე იგი ბრიტანეთს ეკუთვნის. და აი, ამ ციცქნამაც (ტერიტორია 400 კვადრატული კილომეტრი, მოსახლეობა — 70 ათასი) ედმონტონიდან ბრინჯაო წაიღო. ჩვენ კი... ჩვენ აფრიკაც გვჯობნის და თან როგორ: გუნდურ მესამე ადგილზე გავიდა კენია, მეექვსეზე მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნად მიჩნეული ეთიოპია და მაროკოზე აღარაფერს ვამბობთ, ის ხომ ქვეყანაა და ქვეყანა.

გასაკვირი ელიტარული ქვეყნების ჩავარდნა იყო. შეხედეთ ბრიტანეთს თითო ოქროთი და ბრინჯაოთი და საფრანგეთს სულ 2 ბრინჯაოს მედლით. ბებერი კონტინენტი სრული ლაფისგან რუსეთმა, გერმანიამ და რუმინეთმა იხსნეს.

**დავით ბუღუა**




ბიჭები ღარიბი ტრინიდადიდან: მათ ედმონტონში ესტაფეტის ბრინჯაო ერგოთ



ჰიშამ ელ გურუჯმა (შუაში) სიდნეის ოლმპიადისგან განსხვავებით ედმონტონში გმირობა მოახერხა



## ქვეყანათა მონაგარი

| | | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 9 | 5 | 5 | 19 |
| 2 | რუსეთი | 6 | 7 | 6 | 19 |
| 3 | კენია | 3 | 3 | 1 | 7 |
| 4 | კუბა | 3 | 1 | 2 | 6 |
| 5 | გერმანია | 2 | 4 | 1 | 7 |
| 6 | ეთიოპია | 2 | 2 | 4 | 8 |
| 7 | რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 8 | მაროკო | 2 | 1 | 0 | 3 |
| 9 | პოლონეთი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 10 | ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 |
| 11 | ბელარუსი | 1 | 3 | 0 | 4 |
| 12 | იამაიკა | 1 | 2 | 2 | 5 |
| 13 | ბაჰამის კუნძულები | 1 | 2 | 0 | 3 |
| 14 | საბერძნეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| | იტალია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 16 | უკრაინა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 17 | სამხრეთ აფრიკა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 18 | ავსტრალია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 19 | დიდი ბრიტანეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 20 | დომინიკელთა რესპ. | 1 | 0 | 0 | 1 |
| | მოზამბიკი | 1 | 0 | 0 | 1 |
| | სენეგალი | 1 | 0 | 0 | 1 |
| | შვეიცარია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 24 | იაპონია | 0 | 2 | 1 | 3 |
| | ესპანეთი | 0 | 2 | 1 | 3 |
| 26 | ფინეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| | შვედეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 28 | ალჟირი | 0 | 1 | 0 | 1 |
| | ავსტრია | 0 | 1 | 0 | 1 |
| | კამერუნი | 0 | 1 | 0 | 1 |
| | ესტონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| | ისრაელი | 0 | 1 | 0 | 1 |
| | ლიტვა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 34 | საფრანგეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| | მექსიკა | 0 | 0 | 2 | 2 |
| 26 | ბულგარეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| | ჰაიტი | 0 | 0 | 1 | 1 |
| | ყაზახეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| | პორტუგალია | 0 | 0 | 1 | 1 |
| | სენტ კიტსი | 0 | 0 | 1 | 1 |
| | სურინამი | 0 | 0 | 1 | 1 |
| | ტრინიდადი | 0 | 0 | 1 | 1 |

## მაიამი ჰითი

დაარსდა 1988 წელს
ნბა-ს ჩემპიონი არ ყოფილა
დარბაზი: ამერიკან ეალაინზ არენა, ტევადობა 15200

# პატ მასწავლებელს აპატიეს

**„მისტერ** რაილი, რას უპირებთ მწვრთნელს, იქნებ გააგდოთ იგი ამ პოსტიდან“? „მაიამი ჰითის“ პრეზიდენტმა და ამავდროულად მთავარმა მწვრთნელმა პატ რაილიმ ნაძალადევად გაიღიმა, შემდეგ თავს ძალა დაატანა და აბეზარ ჟურნალისტს უპასუხა: „შეცდომას ყველა უშვებს, ჩვენ დავტოვებთ რაილის მწვრთნელის სკამზე და კიდევ ერთ შანსს მივცემთ, რაც არ უნდა იყოს, პატ რაილია. ისე კი ალალად გეტყვით, ასეთი მარცხი ცხოვრებაში არ მიგემია“.

იმ ღამეს პატ რაილიმ დიდხანს ვერ დაიძინა, გონებაში კიდევ ერთხელ გაუელვა „შარლოტთან“ საბედისწერო სერიის ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანმა ეპიზოდმა, დიდმა მწვრთნელმა ერთხელაც გადაავლო თვალი ყველაფერს და შეეცადა, „შარლოტთან“ განადგურების კონკრეტული მიზეზი ეპოვა. მერე მიხვდა, ცალკეული მომენტების ქექვას აზრი არ ჰქონდა. „შარლოტ ჰორნეთსმა“ გამარჯვების წყურვილით აჯობა ამ მხრივ მუდამ სხვაზე წინ მყოფ „მაიამის“. და მერე როგორ აჯობა, მაიამიში ორი თამაში 26-26 ქულით მოუგო და შარლოტში მესამეშიც არ მისცა გასაქანი — 94:79 წააქცია. არადა, „მაიამის“ არასდროს არ ჰყოლია ასეთი მძლავრი შემადგენლობა. ალონზო მურნინგმაც თითქმის მთლიანად მოირჩინა თირკმლის წყეული დაავადება და თანდათან შედიოდა თავის ფორმაში, კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარეს ფორვარდებმა, ბრაიან გრანტმა და ენტონი მეისონმა, ხოლო როცა ასეთ მეფარეებს უკანა ხაზიდან ტიმ ჰარდევეი და ედი ჯონსი ეხმარებიან და ამ ვარსკვლავთკრებულს ლეგენდარული პატ რაილი არიგებს ჭკუას, ამ გუნდს ისღა დარჩენია, ჩემპიონობაზე იფიქროს. ჰოდა, ფლორიდელებიც ჯერაც დაუპყრობელ მწვერვალზე ოცნებობდნენ. მაგრამ პროვინციელი „შარლოტის“ უხეშმა სილამ მსწრაფლ გამოაფხიზლა და დედამიწაზე დაბრუნა ოცნებებით გაბრუებული მაიამელები.

ეს არცთუ დიდი ხნის ამბავია, წლევანდელი პლეი ოფის პირველ წრეში მეექვსე ნომრად განთესილმა „შარლოტმა“ 3:0 წააქცია მესამე ნომრად განთესილი „მაიამი ჰითი“. ამის მერე სამ თვეზე მეტი გავიდა, მსოფლიო კალათბურთში მწვრთნელის ეტალონად ქცეული პატ რაილი ახლა ერთ გაწამაწიაშია და თავში შემადგენლობის შეცვლა-გადახალისების ათასგვარი გეგმა უტრიალებს. მომხდარი აღარ უნდა განმეორდეს, ახლა რაილიმ უნდა დაამტკიცოს, რომ საშუალო დონის გუნდთან განადგურება მხოლოდ შემთხვევითობა იყო.

პატ რაილი დიდი მწვრთნელია, „მეჯიქ“ ჯონსონისეული „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ოთხჯერ აჩემპიონა და თუ „ლეიკერსს“ მის მომდევნო ორ გუნდს „ნიუ იორკს“ და „მაიამის“ მივუმატებთ, ოცწლიან სამწვრთნელო კარიერაში ათასზე მეტი გამარჯვება დაუგროვდება. ამ მხრივ იგი ოდენ „ტორონტოს“ ვეტერან თავკაცს, ლენი ვილკენსს ჩამორჩება. მაგრამ რაილი უძლეველი არაა და არცთუ იშვიათად მისი გუნდები მარცხდებიან ხოლმე. რაილის ლეიკერსული კარიერის ლაქაა 1989 წლის ფინალში „დეტროიტთან“ 0:4 განადგურება (აღსანიშნავია, რომ მაშინ „ლეიკერსს“, „მეჯიქ“ ჯონსონი აკლდა). შემდეგ მისი „ნიუ იორკი“ ითელებოდა მაიკლ ჯორდანისა და სრულიად ჩიკაგოელი „ხარების“ ფეხქვეშ. მერე კი მისი ბოლო გუნდის მუდმივ თავსატკივრად იქცა მისი ყოფილი გუნდი „ნიუ იორკ ნიქსი“, რომელიც 1997-2000




პატ რაილი

წლების პლეი ოფებში ზედიზედ ოთხჯერ გადაეყარა „მაიამის“ და სამჯერ დასცა კიდეც. წლეულს „მაიამიმ“ შესანიშნავი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და მინიმუმ ფინალში გასვლასაც გეგმავდა, მაგრამ სწორედ აქ, თითქმის არსაიდან გამოტყვრა „შარლოტ ჰორნეთსი“. და მაინც „მაიამი ჰითისთვის“ პატ რაილისეული ეპოქა ყველაზე წარმატებულია.

საერთოდ, „მაიამის“ ისტორიას ნაკლებად ახსოვს ღირშესანიშნავი მოვლენები, თუნდაც იმის გამო, რომ „ჰითი“ შედარებით ახალგაზრდა გუნდია, ნბა-ს დიდ ოჯახში სულ 13 წლის წინ გაწევრიანდა და ამ ხნის განმავლობაში ღირებულს ვერაფერს მიაღწია.

ამ კლუბის დაარსება ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გაფართოების აუცილებლობამ გამოიწვია. 80-იანი წლების შუაწელიდან ნბა მანამდე არნახულად გაიფურჩქნა და ლიგის მამებმა 1988-89 წლებში საერთო შემოსავლის გაზრდის მიზნით 23 ძველ გუნდს ოთხი ახალიც დაუმატეს. ნბა-მ 1988 წელს კარი ფართოდ გაუღო „მაიამი ჰითსა“ და ამ რამდენიმე თვის წინ მის მძლეველ „შარლოტ ჰორნეთსს“, ერთი წლის შემდეგ კი მათ მიჰყვნენ „ორლანდო მეჯიქი“ და „მინესოტა ტიმბერვულვზი“. „მაიამის“ მფლობელებმა ნბა-ში გაწევრიანებისთვის ასოციაციას 32,5 მილიონი დოლარი გადაუხადეს და 1988-89 წლების სეზონიდან ნბა-ს ბობოქარ სამყაროში შეაბიჯეს.

პირველ რამდენიმე წელს „ჰითი“ წვალობდა, შემდეგ კი თანდათან საშუალოებშიც აინაცვლა. 1991-92 წლების სეზონში ფლორიდელებმა 82 თამაშიდან 38 მოიგეს და იმ წელს პლეი ოფიც დააჭაშნიკეს. მართალია, იქ „ჩიკაგოსთან“ 3:0 დათმეს, მაგრამ დებიუტანტთაგან მეტს არც არავინ ელოდა და ითხოვდა. იმ დროს „მაიამის“ ლიდერები იყვნენ სნაიპერი გლენ რაისი, 1994 წლის მსოფლიოს და 2000 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი სტივ სმიტი, რიგიანი ცენტრი რონი სეიკლი და ჩატენვების დიდოსტატი ჰაროლდ მაინერი. ამ გუნდმა 1994 წელს ერთხელაც გააღწია პლეი ოფში და იქ პირველ წრეში „ატლანტასთან“ 2:3 დამარცხდა, მას შემდეგ, რაც სერიას ჯერ 1:0, შემდეგ 2:1 იგებდა. შემდეგ კი ეს გუნდი დაიშალა.

1995 წელს „მაიამის“ მწვრთნელობის სურვილი პატ რაილიმ გამოთქვა, ვინ ეტყოდა უარს? ის კი არა, კლუბის პრეზიდენტადაც დანიშნეს. ერთი სიტყვით, სრული თავისუფლება მიანიჭეს. რაილიმაც დაიწყო. პირველ ყოვლისა, მან დიდ მოთამაშეს დაუწყო ძებნა. რაილის სამწვრთნელო ფილოსოფიით, რიგიანი მეფარის გარეშე გუნდი არარაობაა. „ლეიკერსში“ მას ქარიმ აბდულ-ჯაბარი ჰყავდა, „ნიუ იორკში“ — პატრიკ იუინგი. „მაიამისთვის“ რაილიმ შარლოტელი ალონზო მურნინგი შეიგულა. ასეთ კაცს მუქთად ვინ დაუთმობდა და „მაიამიც“ გუნდის პირველ მექულეს, გლენ რაისს შეელია. გაცვლამ გაამართლა, ჭკვიანი და გამოცდილი მწვრთნელის ხელში მურნინგის ნიჭი სრულიად გაიფურჩქნა. ეს ბოლო წლებია, მურნინგს ნბა-ში მობურთალი ცენტრებიდან შაკილ ონილი თუ სჯობს. გაამართლა მეორე გაცვლამაც, რომლის შედეგადაც მურნინგს მძლავრი გამთამაშებელი და „ჰითის მოტორი“ ტიმ ჰარდევეი შეუერთდა. ამ ორის გარშემო აშენებული გუნდით „მაიამიმ“ გვარიანად წაიწია წინ. რაილის მისვლის შემდეგ აღარავინ მარჩიელობდა, მოხვდებოდა თუ არა „მაიამი“ პლეი ოფში, ახლა გუნდის უმთავრეს საზრუნავად პლეი ოფისთვის რიგიანად მომზადება და იქ რაც შეიძლება მაღი ეტაპის გავლა იქცა.

1996-97 წლების სეზონი ყველაზე წარმატებულია ფლორიდელთა ხანმოკლე ისტორიაში. იმ წელს „ჰითმა“ სამი რიგიანი ჯეელი — ჯამალ მაშბურნი, ფი ჯეი ბრაუნი და ვოშონ ლენარდი შეიმატა. ის სეზონი, „მაიამიმ“ 61 გამარჯვებითა და ატლანტიკის დივიზიონის ცხრილში პირველი ადგილით დაასრულა და აღმოსავლეთ კონფერენციაში მხოლოდ „ჩიკაგო ბულზს“ ჩამორჩა, რომელსაც პლეი ოფში აღმოსავლეთის ფინალში შეერკინა კიდეც. პატ რაილი იმ სეზონში კოლეგებს შორის საუკეთესოდ აღიარეს, ეს მესამედ (საუკეთესო შედეგი ნბა-ს ისტორიაში). სანამ კონფერენციის ფინალში „ჩიკაგოსთან“ დამარცხდებოდა „მაიამიმ“ არსებობის მანძილზე პირველი საპლეიოფო სერია მოიგო, პირველ წრეში „ორლანდო“ დასცა. თანაშტატელ „ორლანდოს“ მეორე წრეში რაილის ახალმა შეგირდებმა ძველები — ნიუიორკელები მიაყოლეს. ის სერია „მაიამიმ“ 4:3 მოიგო. ნბა-ს იშვიათად უნახავს ასეთი დაძაბული და ნერვების დამწყვეტი სერია. სწრედ აქედან ჩაეყარა საფუძველი ამ ორი აღმოსავლელი ბობოლას მტრობას, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. სერიაში აშკარა უპირატესობას ნიუიორკელები ფლობდნენ. პირველი ოთხი შეხვედრის შემდეგ „ნიქსი“ 3:1 იგებდა. „ნიქსის“ და „ჰითის“ ურთიერთდაპირისპირება ერთი კომიკური ეპიზოდიდან დაიწყო. „ნიქსი“ სერიის მეხუთე თამაშსაც იგებდა და ცხადია, ნიუიორკელები შესანიშნავ ხასიათზე იყვნენ. ერთ მომენტში „ნიქსის“ გამთამაშებელმა ჩარლი ვორდმა მაყურებლების გამხიარულება გადაწყვიტა და „მაიამის“ 211-სანტიმეტრიან თავდამსხმელს, ფი ჯეი ბრაუნს ფეხებშუა გაუძვრა. ბრაუნმა თავხედს ერთი-ორი მოსდო და შემდეგ ხელდახელ შეება ახმახ ნიუორკელებს, რომლებიც პატარა ვორდს გამოექომაგნენ. ჩხუბმა მხოლოდ „ნიუ იორკი“ აზარალა, ნბა-მ რამდენიმე მატჩის გამოტოვებით დასაჯა ბრაუნი და სამი ნიუიორკელი. „მაიამიმ“ კი იმ და მომდევნო ორ თამაშში შეძლო განახევრებული მეტოქის ძლევა და სერიაში გამარჯვებაც მას დარჩა.

„ნიუ იორკს“ მიეცა ჯავრის ამოყრის საშუალება. „ნიქსი“ მომდევნო სამი წელიწადი პირველ-მეორე წრეებში ხვდებოდა მოსისხლე მტერს და სულ უგებდა, თუმცა შეიძლებოდა პირიქითაც მომხდარიყო. სამივე სერია გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა. სამივე სერიის ჯამში, ოციოდე თამაშის უმრავლესობაში, გამარჯვებული ბოლო წამებზე ჩაგდებულ-ვერჩაგდებულმა ბურთმა გამოავლინა. შეიძლება ითქვას, „მაიამის“ მეტოქეზე ნაკლებად უმართლებდა. ჩხუბს ხომ თვლა არ ჰქონდა, ლამის თამაში არ ჩაივლიდა, თუნდაც ოდნავ არ წაკინკლავებულიყვნენ გუნდები. თვით ძველმა ძმაკაცებმა, „შარლოტში“ თანაგუნდელებმა, ახლა კი მეტოქეებმა, მურნინგმა და ნიუიორკელმა ლარი ჯონსონმა დაივიწყეს წარსული და ერთმანეთს ცხვირ-პირი დაამტვრიეს.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „მაიამი“ და „ნიუ იორკი“ მხოლოდ ერთხელ, წლეულს ასცდნენ პლეი ოფში ერთმანეთს, ორივე პირველი წრიდან გავარდა.

პატ რაილისთვის „ნიუ იორკი“ წარსულია, მას აწმყო აღელვებს. „შარლოტთან“ შერცხვენის შემდეგ, რაშიც ლომის წილი ექსმაიამელმა, აწ კი „ჰორნეთსის“ ლიდერმა ჯამალ მაშბურნმა დაიდო, დიდი მწვრთნელი თანდათან მშვიდდება. პატ რაილი ნამდვილად არ დატოვებს მწვრთნელის თანამდებობას, ბოლო-ბოლო, მისი კვლავ სჯერათ მზიურ მაიამიში.

**ირაკლი ფირუზაშვილი**




პატ რაილის საყვარელი შეგირდი ალონზო მურნინგი




ბრაიან გრანტი მურნინგს ფარზე სამუშაოს უნახევრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

10-13 აგვისტო

კლივლენდ კავალიერზი: აიყვანა უკანახაზელი ბრაიან სტიტი (ბოსტონიდან)
მაიამი ჰითი: აიყვანა ცენტრი ერნესტ ბრაუნი (ქვედა ლიგიდან)
შარლოტ ჰორნეთსი: აიყვანა ფორვარდი მეტ ბალარდი (ჰიუსტონიდან)

# კავალერია ჯაგლაგებით აივსო



ამიერიდან გლენ რაისი „ჰიუსტონის“ მეტოქეებს წააქცევს

**თავისუფალ** აგენტთა ბაზარი დღითი დღე ნაკლებად ხმაურობს. ამის მიზეზი იქნებ ხეირიანი ბიჭების სიმცირეც იყოს. წლევანდელ სეზონთაშორის პერიოდში კონტრაქტისგან გათავისუფლებულ ვარსკვლავთაგან, ვისაც რაც შეიძლება სწრაფად სურდა ახალი კლუბის მონახვა, ყველამ მიაგნო სასურველ გუნდს. ბაზარს ჯერაც შემორჩა ორიოდ რიგიანი ჯეელი, მაგრამ ისინი არ ჩქარობენ. სეზონის დაწყებამდე დიდი დროა, ამიტომაც ისინი საფუძვლიანად იხილავენ შემოთავაზებულ წინადადებებს. ოკეანგაღმიდანაც უფრო მეორეხარისხოვან მოთამაშეთა ამა თუ იმ კლუბში გადასვლის ამბები მოდის.

წინა სეზონში საკუთარი თავით უკმაყოფილო კლივლენდური „კავალერია“ მომდევნო სეზონს საკმაოდ სახეცვლილი ეგებება, თუმც კი კლუბის ხელმძღვანელობა ღრმა რეფორმებისგან თავს იკავებს, მხოლოდ წვრილმანი გადასვლა-გადმოსვლებით კმაყოფილდება. ამ ორი დღის წინ „კავალიერზმა“ აიყვანა ბოსტონელი მსროლელი ბრაიან სტიტი. ვინაიდან ექსბოსტონელი თავისუფალი აგენტი გახლდათ, „კლივლენდს“ ცენტიც არ დაუჯდა მისი გადაყვანა, ასე რომ, ერთი შეხედვით გუნდი უნდა გაძლიერებულიყო, მაგრამ ვეჭვობთ, სტიტის დონის მოთამაშის აყვანა-არაყვანამ „კლივლენდს“ რაიმე ღირებული შემატოს ან მოაკლოს. მართალია, სტიტი „ბოსტონის“ ძირითადი ხუთეულის წევრი იყო, მაგრამ რადგან ამ გუნდს ორადორი რიგიანი კალათბურთელი ჰყავს, გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ხუთეულის დანარჩენი სამი წევრი და მათ შორის სტიტიც, მხოლოდ ავსებდნენ ძირითად ხუთეულს. ბოლო სეზონში სტიტს „ბოსტონისთვის“ მატჩში საშუალოდ 9,7 ქულა მოჰქონდა. ეს მაჩვენებელი, ალბათ, დაიკლებს „კლივლენდში“, სადაც სტიტის გაქანების კალათბურთელი და ამდენად, მისი პოტენციური ხელის შემშლელი ბევრია.

„მაიამი ჰითს“ ორი მძლავრი თავისუფალი აგენტი ჰყავს — ტიმ ჰარდევეი და ენტონი მეისონი, რომელთა ხილვასაც საკუთარ შეგირდთა შორის ნბა-ს არაერთი მწვრთნელი ისურვებდა, მაგრამ მაიამური დუეტი ჯერჯერობით დუმს, ისევე როგორც მათი ძველი კლუბი. სამაგიეროდ, „მაიამი“ წვრილფეხობითაა დაინტერესებული. ორშაბათიდან „ჰითის“ საკუთრება გახდა 213-სანტიმეტრიანი ცენტრი ერნესტ ბრაუნი, რომელიც გუნდმა შარშანდელ დრაფტში 52-ე ნომრად აიყვანა, მაგრამ ჩამოუყალიბებელ კალათბურთელად მიიჩნია და ბრაუნმაც ბოლო ერთი წელი ქვედა, უხეირო ლიგაში თამაშით და საკალათბურთო ცირკ „ჰარლემ გლობტროტერზში“ ჯამბაზობით მოკლა. ახლა „მაიამის“ გული მოუბრუნდა ამ ახმახ ყმაწვილზე.

„შარლოტის“ სათადარიგოთა სკამს გაამაგრებს 208-სანტიმეტრიანი ფორვარდი მეტ ბალარდი, რომელმაც თავისი ათწლიანი კარიერის დიდი ნაწილი „ჰიუსტონ როკიტსში“ გაატარა და 1994 წელს ამ გუნდის მაისურით ნბა-ს ჩემპიონიც გახდა, თუმც ამაში მისი წილი ერთობ მოკრძალებულია. ბალარდის კარიერის მონაგარს მატჩში საშუალოდ 5,4 ქულას და ორ მოხსნას შეადგენს. მისი მთავარი ღირსება სნაიპერული თვისებაა. მას ძალუძს, ერთ მატჩში ოთხი-ხუთი სამქულიანი ჩააგდოს, თუმც მომდევნო ხუთ თამაშში შეიძლება ათ ქულასაც ვერ მოუყაროს თავი.

კალათბურთელები კლუბს თავიანთი ნების გარეშეც იცვლიან, ანუ ისინი, რომლებიც თავისუფალ აგენტთა მარაქაში არ ურევიან. ამ უქმეებზე სამმა კლუბმა — „ნიუ იორკმა“, „ჰიუსტონმა“ და „დალასმა“ ხმაურიანი ვაჭრობა გააჩაღა, რის შედეგადაც ხუთმა კალათბურთელმა შეიცვალა ნავსაყუდელი. დალასელი ჰოვარდ ეისლი და ჰიუსტონელი შენდონ ანდერსონი „ნიუ იორკში“ გადაბარგდნენ. სანაცვლოდ „ნიუ იორკმა“ „დალასს“ მაქსი ბოგსი, ხოლო „ჰიუსტონს“ გლენ რაისი უბოძა. გარდა ამისა, „დალასმა“ „ჰიუსტონს“ წლევანდელი დრაფტის მეორე წრეში არჩეული კილ ჰილი დაუთმო.

გაცვლა ერთობ არათანაბარია. „ჰიუსტონი“ აშკარად მოგებული დარჩა, რადგან საშუალო დონის ანდერსონის სამაგიეროდ მძლავრი მექულე გლენ რაისი მიიღო. „დალასის“ ხელმძღვანელებმა კი გუნდს ცუდი საქმე გაუკეთეს, ჰოვარდ ეისლის გაცილებით მეტი სარგებელი მოჰქონდა, ვიდრე ჯუჯა ვეტერან მაქსი ბოგსისგან უნდა ელოდონ. ნბა-ს ყველა დროის უდაბლესი მოთამაშე, 160-სანტიმეტრიანი ბოგსი ჯეელობაში იქნებ ბრწყინავდა კიდეც, მაგრამ 30 წელს კარგა ხანია, გადააბიჯა, ამასთან, ქრონიკულად მტკივანი მუხლების პატრონს ბევრიც არაფერი შეუძლია.

ამ გაცვლაში უდავოდ ცენტრალური ფიგურაა გლენ რაისი. „ლეიკერსში“ და „ნიუ იორკში“ გატარებული სამი ულიმღამო სეზონის შემდეგ მან, ალბათ, იპოვა შესაფერისი ადგილი. 90-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი მექულის, რაისის შედეგიანობა ბოლო სეზონში საშუალოდ 12 ქულამდე დაეცა, რადგან „ნიუ იორკში“ მას ბევრი კონკურენტი ჰყავდა, „ჰიუსტონში“ კი შანსი მიეცემა, ფართოდ გაშალოს ფრთები. „როკიტსში“ ფრთის ადგილი ვაკანტური იყო, რაისიც სწორედ ამ ამპლუისაა და თუ კარგად წაუვიდა საქმე, ვინ იცის, იქნებ „რაკეტათა“ პირველი მექულეც გახდეს. ჰიუსტონშიც კმაყოფილები არიან, მით უმეტეს, ბებერი ჰაკიმ ოლაჯუონის წასვლის შემდეგ „როკიტსს“ ახალი ვარსკვლავის დამატება არ აწყენდა. „ნიუ იორკისა“ კი გაგვკვირვებია. ამ გუნდს ოთხი ძლიერი უკანახაზელი ჰყავს და ახლა კიდევ ორი დაიმატა, მაშინ, როცა აუცილებლად წამსვლელი რაისის სანაცვლოდ „ნიქსს“ შეეძლო, მისივე ფრთის ამპლუის მოთამაშე ეშოვა, ან სულაც ხეირიანი ცენტრი მიეღო. „მართლა საინტერესო იქნება ექვსი უკანახაზელის კონკურენციისთვის თვალყურის დევნება“ — ამბობს „ნიქსის“ გენერალური მენეჯერი სკოტ ლეიდენი. მას ექსპერიმენტებისთვის მოუცლია, მაშინ, როდესაც „ნიუ იორკი“ თანდათან კარგავს ძველ ფორმას და წლევანდელ პლეი ოფში ბოლო ათ წელიწადში პირველად გავარდა საწყისი ეტაპიდან.

**იგანე ძოზიაშვილი**



ბრაიან სტიტი

## ევროკალათი



დეიან ბოდიროგას და იუგოსლავიის საჩემპიონო ზრახვები აქვთ

**ევროპის** ჩემპიონატის დაწყებას ბევრიც არაფერი უკლია და მასში მონაწილე გუნდებმა მოსამზადებელი ეტაპი უკვე დაიწყეს — სხვადასხვა მინიტურნირში სცდიან ძალას.

ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრი ორი დღის წინ თურქეთში დასრულდა. მასპინძელთა გარდა იასპარეზეს იუგოსლავიის, რუსეთისა და შვედეთის ნაკრებებმა. ყოველი მათგანი, თუ არ ჩავთვლით მცირე გამონაკლისს, უძლიერესი შემადგენლობით გამოდიოდა. გამარჯვებული ერთწრიანი სისტემით გამოვლინდა.

პირველ მატჩებში თურქებმა და იუგოსლავიელებმა შესაბამისად რუსებსა და შვედებს შანსი არ დაუტოვეს. გამარჯვებულებმა მეორე დღეს მეტოქეები გაცვალეს და კვლავ წარმატებას მიაღწიეს. ბოლო დღეს კი მათი შერკინება ფაქტობრივად ფინალი იყო. იუგოსლავიის ნაკრებმა მასპინძლებს იოლად — 90:72 მოუგო და ყველას ამცნო, რომ კარსმომდგარ ევროპულ ფორუმზე მხოლოდ ჩემპიონობას უმიზნებს. გამარჯვეულთაგან შედეგიანობით დეიან ბოდიროგა გამოირჩა — 19 ქულა.

თურქების ამბიციური ნაკრების მწვრთნელს აიდინ ორსს ეს მარცხი გულზე ეკალივით მოხვდა. „ჩვენმა კალათბურთელებმა მთელი მატჩი კარგად ითამაშეს და მხოლოდ ბოლო პერიოდში მოეშვნენ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ ყურადღება. ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და მეორე ნახევარში ბურთს ხშირად ვკარგავდით. მიუხედავად ამისა, არ ვთვლი, რომ ჩვენი ნაკრები ასეთი ანგარიშით წაგებას იმსახურებდა“ — უკმაყოფილებას ვერ მალავდა მომავალი ჩემპიონატის მასპინძელი გუნდის თავკაცი.

**ლიტვის** ნაკრებისა და იტალიური „ფორტიტუდოს“ 28 წლის 218-სანტიმეტრიანმა ცენტრმა აურელიუს ჟუკაუსკასმა იუგოსლავიის ჩემპიონ „ბუდუჩნოსტთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მხარეებს გარიგების ფინანსური დეტალები არ გაუხმაურებიათ.

იუგოსლავიის ჩემპიონი რა ხანია, გუნდის მთავარი ცენტრის, დეიან ტომაშევიჩის შემცვლელს ეძებდა და ლიტველის სახით ძლიერ და გამოცდილ კალათბურთელს მიაგნო.

ჟუკაუსკასი იტალიამდე კაუნასის „ჟალგირისში“ გამოდიოდა და ამ გუნდთან ერთად 1999 წლის ევროლიგა და 1998 წლის საპორტას თასი მოიგო. იგი 2000 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორიცაა ლიტვის ნაკრების შემადგენლობაში.

**როგორც** იქნა, ახდა რუს გულშემატკივართა ნატვრა. თითქმის ორი წელია, რაც რუსული საკალათბურთო სამყარო ცსკა-ს თავდამსხმელ ანდრეი კირილენკოს ნბა-ში გადასვლაზე ლაპარაკობს. და აი, ამ ხანგრძლივ მითქმა-მოთქმას წერტილი ორიოდ დღის წინ დაესვა, როდესაც კირილენკომ „იუტა ჯაზთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ნბა-ში ოდესმე ნათამაშევ თითო-ოროლა თანამემამულის სიას შეუერთდა.



რუსი ნბა-ში:
ანდრეი კირილენკო (№13)

კონტრაქტი იმასაც ითვალისწინებს, რომ მხარეთა თანხმობის საფუძველზე შესაძლოა ერთი წლით გახანგრძლივდეს. ამ ხნის მანძილზე კირილენკო „იუტასგან“ ხელფასის სახით ორნახევარ მილიონ დოლარს მიიღებს. ექსცეესკელს ეკრძალება სხვა რომელიმე გუნდში ვარჯიშიც კი, ეროვნული ნაკრების ჩათვლით. თუ რუსებმა არ დაიშალეს და კირილენკო ნაკრებში გამოიძახეს, მაშინ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას კალათბურთელის იმ ფასად დაზღვევა მოუწევს, რა ფასიანი კონტრაქტიც მას „იუტამ“ გაუფორმა.

გარდა ამისა, რუსს ეკრძალება ექსტრემალური სპორტის სახეობებით გართობა და თეთრის გარდა სხვა ფერის წინდების ტარება, რომელთაც აუცილებლად ნბა-ს ლოგოტიპი უნდა ამშვენებდეს.

კირილენკო უაღრესად კმაყოფილია, რომ თავისი მომავალი ნბა-ს, კერძოდ კი „იუტა ჯაზს“ დაუკავშირა, თუმცა ახლა სხვა ფიქრებიც მოსძალებია. მას გაცნობიერებული აქვს, თუ რამხელა პასუხისმგებლობა ეკისრება და რა დონის ვარსკვლავების მხარდამხარ მოუწევს თამაში. ამიტომ, როგორც თვითონ ამბობს, შეიძლება თავიდან გაუჭირდეს კიდეც, მაგრამ თავის იმედი აქვს და მომავალს იმედიანად უყურებს. „ორიოდ დღე დამჭირდა, რათა ალლო ამეღო „ჯაზის“ ვარჯიშებისთვის“.

**ირაკლი ბერტაია**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

# კროკო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტური** | | | |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 18.30 | 001 | ბაიერნი-ზტ.პაული | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 002 | ბაიერნი-ზტ.პაული 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.30 | 003 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 004 | ნიურბერგი-შტუტგარტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 18.30 | 005 | ვერდერი-მიუნხენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 006 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 007 | შალკე-ლევერკუზენი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 008 | ჰანზა-დორტმუნდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 009 | ჰერტა-კოტბუსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 010 | კიოლნი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. IV ტური** | | | |
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 011 | შვაინფურტი-არმინია | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 012 | როიტლინგენი-ფიურტი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 22.00 | 013 | ობერჰაუზენი-უნტერჰახინგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 014 | ბაბელსბერგი-უნიონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.00 | 015 | ზაარბრიუკენი-აინტრახტი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 016 | ალენი-ალემანია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 017 | ჰანოვერი-ბოხუმი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 018 | მაინცი-კარლსრუე | 1,95 | 3,1 | 3,4 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 23.15 | 019 | ვალდჰოფი-დუისბურგი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). IV ტური** | | | |
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 021 | ლიუბერკი-მიუნსტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 17.00 | 022 | ლევერკუზენი(მ.)-დიუსელდ. | 2.1 | 3,1 | 3,2 |
| 17.00 | 023 | დრეზდენი-ფორტუნა | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 17.00 | 024 | მაგდებურგი-ბრაუნშვაიგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 17.00 | 025 | ფერლი-აუე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 17.00 | 026 | ესენი-ვატენშაიდი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 17.00 | 027 | ქემნიცი-პადერბორნი | 1,55 | 3,5 | 5,0 |
| 17.00 | 028 | ოსნაბრიუკი-კილი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 029 | ურდინგენი-ვერდერი(მ.) | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| | 030 | ურდინგენი-ვერდერი(მ.) 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა. (სამხრეთი). IV ტური** | | | |
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 21.30 | 031 | ერფურტი-ანსბახი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 032 | ჰოფენჰაიმი-ბურგჰაუზენი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 033 | რეგენსბურგი-შტუტგარტი(მ.) | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 18.00 | 034 | ოფენბახი-ელვერსბერგი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 18.00 | 035 | კიკერსი-აალენი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 18.30 | 036 | კაიზერსლ(მ.)-დარმშტადი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 037 | ბაიერნი(მ.)-ვეჰენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.00 | 038 | ზიგენი-მანჰაიმი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 21.00 | 039 | ფულდა-ტრირი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური** | | | |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 040 | ჩარლტონი-ევერტონი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 041 | დერბი-ბლექბერნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 042 | ლიდსი-საუთჰემპტონი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 043 | ლიდსი-საუთჰემპტონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 044 | ლესტერი-ბოლტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 045 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 046 | ლივერპული-ვესტ ჰემი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| 19.00 | 047 | მიდლსბრო-არსენალი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 19.00 | 048 | სანდერლენდი-იფსვიჩი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 049 | ტოტენჰემი-ასტონ ვილა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 050 | ჩელსი-ნიუკასლი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 051 | მანჩესტერი-ფულემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 052 | მანჩესტერი-ფულემი 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,4 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური** | | | |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 24.00 | 053 | ევერტონი-ტოტენჰემი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **ინგლისი I დივიზიონი. II ტური** | | | |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 054 | ბარნსლი-ნოტინგემი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 055 | ბარნლი-უიმბლდონი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 056 | ქრიუ-უენსდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 057 | კრ.პალასი-სტოკპორტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 058 | ნორვიჩი-სიტი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 059 | პორტსმუთი-ბრედფორდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 060 | პრესტონი-უოლსოლი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 061 | შეფილდი-ჯილინგემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 062 | უოტფორდი-როტერჰემი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 063 | ვესტ ბრომვიჩი-გრიმსბი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 064 | ბირმინგემი-მილუოლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.15 | 065 | ქოვენთრი-ვულვერჰემპტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. II ტური.** | | | |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 066 | ბორნმუთი-ბლეკპული | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 067 | ბრენტფორდი-პორტ ვეილი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 068 | ბრაიტონი-უიგანი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 069 | ბრისტოლი-სუინდონი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 070 | ბერი-ქუინზ პარკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 071 | კოლჩესტერი-ტრანმერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 072 | ნოტსი-კემბრიჯი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 073 | ოლდემი-ჩესტერფილდი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 074 | პიტერბრო-კარდიფი | 2,4 [uncertain] | 3,2 | 2,5 [uncertain] |
| 19.00 | 075 | რედინგი-ჰადერსფილდი | 2,0 | 3,2 [uncertain] | 3,3 [uncertain] |
| 19.00 | 076 | სტოკი-ნორთჰემპტონი | 1,6 [uncertain] | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 077 | უიკომბი-რექსემი | 2,0 [uncertain] | 3,2 [uncertain] | 3,3 [uncertain] |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. II ტური.** | | | |
| | | **16 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 078 | რაშდენი-ლინკოლნი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 079 | დარლინგტონი-კიდერმინსტ. | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 080 | ჰალიფაქსი-ექსეტერი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 081 | ჰალი-პლიმუთი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 082 | ლეიტონი-კარლაილი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 083 | ლუტონი-ჩელტენემი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 084 | მენსფილდი-საუთენდი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.00 | 085 | როჩდეილი-მაკლსფილდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 086 | სკანთორპი-როვერსი | 2,5 | 3,0 | 2.5 |
| 19.00 | 087 | შრიუსბერი-ჰარტლპული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 088 | სუონსი-ოქსფორდი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 089 | ტორკი-იორკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. IV ტური.** | | | |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 090 | ლილი-მონპელიე | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 091 | სოშო-ლორიანი | 1.65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 092 | რენი-ბორდო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 093 | ნანტი-ბასტია | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 094 | მეცი-ლანსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 095 | მარსელი-ტრუა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 096 | ლიონი-გენგამი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 097 | ოსერი-სედანი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 098 | მონაკო-პსჟ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. IV ტური** | | | |
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 099 | გრენობლი-სტ. ეტიენი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 100 | სტრასბური-ლავალი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 101 | ნიორი-ისტრი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 102 | ნიმი-ლე ავრი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 103 | ნანსი-გენიონი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 104 | ლე მანი-ვასკეალი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 105 | კრეტეი-აიაჩო | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 106 | შატორუ-ამიენი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 107 | კაენი-მარტიგი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 108 | ბოვე-ნიცა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. II ტური.** | | | |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 22.15 | 109 | ბელენენსეში-სპორტინგი | 3,5 | 3,1 | 1,95 |
| 01.00 | 110 | ჟილ ვისენტე-ბრაგა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 111 | ბეირა მარი-მარიტიმუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 112 | ლეირია-სანტა კლარა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 113 | სეტუბალი-ვარზიმი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 114 | ალვერკა-ფერეირა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 115 | ბენფიკა-სალგეირუში | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 116 | ბენფიკა-სალგეირუში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 01.00 | 117 | პორტუ-ბოავიშტა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 00.30 | 118 | ფარენსე-გიმარაეში | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. II ტური.** | | | |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 119 | მარკუ-ამადორა | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 20.00 | 120 | ნავალი-მორეირენსე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 121 | პენაფიელი-ნასიონალი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 20.00 | 122 | ოვარენსე-აკადემიკა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 123 | ოლივეირენსე-ავეში | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 124 | პორტიმონენსე-შავეში | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 125 | ლეცა-რიუ ავე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 126 | კამპომაიორენსე-ესპინიუ | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 127 | მაია-ლამაში | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. I ტური.** | | | |
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 128 | ტვენტე-ვალვაიკი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 129 | გრონინგენი-პსვ | 5,0 | 3,6 | 1,55 |
| 22.00 | 130 | ბრედა-უტრეხტი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.30 | 131 | დენ ბოსხი-ჰერენვენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 132 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 133 | ტილბურგი-ნაიმეგენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 17.30 | 134 | აიაქსი-როდა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.30 | 135 | ფეინოორდი-სპარტა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 136 | ფეინოორდი-სპარტა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 17.30 | 137 | სიტარდი-ვიტესი | 3,2 | 3,3 | 2,0 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. I ტური.** | | | |
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 138 | ეინდჰოვენი-ჰელმონდი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 22.30 | 139 | ვენლო-ვეენდამი | 2,2 | 3,3 | 2,8 |
| 22.30 | 140 | მაასტრიხტი-ზვოლე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 141 | კამბური-ჰაარლემი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 142 | ჰერაკლესი-ოსი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.30 | 143 | იგლსი-როზენდალი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.30 | 144 | ტელსტარი-ექსელსიორი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 145 | ვოლენდამი-ემენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 17.30 | 146 | დორდრეხტი-დენ ჰააგი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. II ტური.** | | | |
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 147 | მუსკრონი-გენტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 148 | ლუვიე-ანდერლეხტი | 6,0 | 3,8 | 1,45 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 149 | სტანდარდი-ბევერსხოტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 150 | მოლენბეკი-შარლერუა | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.00 | 151 | სტ. ტრუიდენი-ლომელი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 152 | ვესტერლო-აალსტი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 23.00 | 153 | ბევერენი-ლიერსი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 154 | ანტვერპენი-გენკი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 155 | ლოკერენი-ბრიუგე | 3,3 | 3,3 | 1,95 |

**ჩეხეთი. IV ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 156 | სლავია-ბანიკი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 13.15 | 157 | ჟიჟკოვი-ბოჰემიანსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.30 | 158 | ჰ.კრალოვე-ლიბერეცი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 19.30 | 159 | პრჟიბრამი-ბლშანი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.30 | 160 | სიგმა-სინოტი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 161 | სიგმა-სინოტი 0:1 | 2,0 | 3,3 | 2,2 |
| 19.30 | 162 | იაბლონეცი-ტეპლიცე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 163 | დრნოვიცე-ბრნო | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 164 | ოპავა-სპარტა | 6,5 | 4,0 | 1,4 |

**პოლონეთი. A ჯგუფი. V ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 165 | ვისლა-ოდრა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 166 | ვისლა-ოდრა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 167 | ზაგლებე-პოლონია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 168 | კატოვიცე-ოსტროვეცი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 20.30 | 169 | ვიძევი-გურნიკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**პოლონეთი B ჯგუფი. V ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 170 | ამიცა-სტომილი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 171 | ამიცა-სტომილი 0:1 | 2,0 | 3,3 | 2,2 |
| 20.30 | 172 | ლეგია-რადომსკო | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 173 | ლეგია-რადომსკო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.30 | 174 | გროცლინი-რუხი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.30 | 175 | პოგონი-შლიონსკი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**თურქეთი. II ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 176 | ბურსა-ბეშიქთაში | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 177 | დიარბაქირი-გიოზთეფე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 21.00 | 178 | ქოჯაელი-ანთალია | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 21.00 | 179 | სამსუნი-გენჩლერბირლიგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 21.00 | 180 | გალათასარაი-დენიზლი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 181 | გალათასარაი-დენიზლი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 182 | ისთანბული-ფენერბაჩე | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 19.00 | 183 | იოზგათი-რიზე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 21.00 | 184 | ანკარაგიუჯიუ-მალათია | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 185 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. IV ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 186 | აბერდინი-მოზერუელი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 187 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 188 | ჰართსი-დანდი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 189 | კილმარნოკი-სტ. ჯონსტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 190 | ლივინგსტონი-სელტიკი | 6,0 | 3,8 | 1,45 |
| 21.35 | 191 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 192 | რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**ავსტრია. VIII ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 208 | რაპიდი-ტიროლი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.30 | 209 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 210 | კერნტენი-აუსტრია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 211 | რიდი-ადმირა | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 212 | რიდი-ადმირა 0:1 | 1,9 | 3,5 | 2,3 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 213 | შტურმი-გრაცერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. VIII ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 214 | იანგ ბოისი-ქსამაქსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 215 | აარაუ-ბაზელი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.30 | 216 | გრასჰოპერი-ლოზანა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 217 | გრასჰოპერი-ლოზანა 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 22.30 | 218 | ლუგანო-ციურიხი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.30 | 219 | ლუცერნი-სტ. გალენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. VIII ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 224 | კრინსი-ლოკარნო | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.30 | 225 | ვინტერთური-ვადუცი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**დანია. V ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **17 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 232 | კოპენჰაგენი-აკადემისკი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 233 | მიდტიულანდი-ლიუნგბიუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 234 | ვიბორგი-ვაილე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.00 | 235 | ორჰუსი-ოდენსე | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 20.05 | 236 | ბრიონდბიუ-სილკებორგი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 237 | ოლბორგი-ესბიერგი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**რუსეთი. XXII ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 238 | დინამო-ჩერნომორეცი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 16.00 | 239 | ფაკელი-სპარტაკი | 4,0 | 3,2 | 1,7 |
| 16.00 | 240 | სატურნი-როტორი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 16.00 | 241 | ალანია-ლოკომოტივი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 16.00 | 242 | ტორპედო-ზენიტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 16.00 | 243 | კრილია-სოკოლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 16.00 | 244 | ანჟი-ცსკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 245 | ზილ-როსტელმაში | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**შვედეთი. XVIII ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 246 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 247 | ჰელსინგბორგი-ჰეკენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 20.00 | 248 | ელფსბორგი-აიკ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 249 | იურგორდენი-ნორჩიოპინგი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 22.00 | 250 | სუნდსვალი-იორებრო | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.00 | 251 | გიოტებორგი-ტრელებორგი | 1,4 | 4,0 | 6,5 |

**ნორვეგია. XIX ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 252 | რუსენბორგი-ბრინი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 253 | რუსენბორგი-ბრინი 0:1 | 1,35 | 3,8 | 4,0 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 254 | ბოდიო გლ.-ლილესტრიომი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 21.00 | 255 | ბრანი-ოდ გრენლანდი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 21.00 | 256 | მოლდე-სტრიომსგოდსეტი | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| 21.00 | 257 | მოსი-ტრომსიო | 2,0 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 258 | სტაბეკი-ლინი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| | 259 | სტაბეკი-ლინი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 21.00 | 260 | ვიკინგი-სოგნდალი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| | 261 | ვიკინგი-სოგნდალი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

**ფინეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **16 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 262 | ტამპერე-ატლანტისი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 263 | ჰიკ-ინტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 20.30 | 264 | ლაჰტი-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 265 | როვანიემი-კუოპიო | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 266 | ტამპერე-მიუპა | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **20 აგვისტო** | | | |
| 20.30 | 267 | ატლანტისი-ჰაკა | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**იტალია. სუპერთასი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 270 | რომა-ფიორენტინა | 1,5 | 3,5 | 5,3 |

**ესპანეთი. სუპერთასი. I მატჩი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **19 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 287 | სარაგოსა-რეალი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

**შესარჩევი მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **15 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 504 | ესტონეთი-კვიპროსი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 23.15 | 505 | იუგოსლავია-ფარერები | 1,05 | 7,0 | 14,0 |
| | 506 | იუგოსლავია-ფარერები 0:3 | 1,75 | 3,8 | 2,5 |
| 02.00 | 507 | ეკვადორი-არგენტინა | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 02.40 | 508 | ბრაზილია-პარაგვაი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| | | **16 აგვისტო** | | | |
| 06.00 | 509 | კოლუმბია-პერუ | 1,3 | 4,4 | 8,0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **15 აგვისტო** | | | |
| 19.40 | 511 | ჩეხეთი-კორეა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 512 | რუსეთი-საბერძნეთი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 20.00 | 513 | ბოსნია-მალტა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.30 | 514 | ლატვია-უკრაინა | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 21.00 | 515 | ფინეთი-ბელგია | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 21.00 | 516 | ლიტვა-ისრაელი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 22.00 | 517 | ნორვეგია-თურქეთი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 22.00 | 518 | შვედეთი-ს. აფრიკა | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 22.00 | 519 | ბულგარეთი-მაკედონია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 22.30 | 520 | სლოვაკეთი-ირანი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 23.00 | 521 | პორტუგალია-მოლდოვა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 23.00 | 522 | ისლანდია-პოლონეთი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 23.15 | 523 | სლოვენია-რუმინეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.30 | 524 | ავსტრია-შვეიცარია | 1,9 | 3,1 | 4,0 |
| 23.30 | 525 | ირლანდია-ხორვატია | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 23.45 | 526 | საფრანგეთი-დანია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 527 | უნგრეთი-გერმანია | 4,0 | 3,2 | 1,75 |
| 24.00 | 528 | ინგლისი-ჰოლანდია | 1,75 | 3,1 | 4,2 |

**ტურში გატანილი გოლები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | **18 აგვისტო** | |
| 18.30 | 701 | გერმანია (მე-4) | 24 და ნაკლები – 1,9; | 26 და მეტი – 1,9 |
| | | | **18 აგვისტო** | |
| 19.00 | 702 | ინგლისი (1-ლი) | 25 და ნაკლები – 1,9; | 27 და მეტი – 1,9 |
| | | | **18 აგვისტო** | |
| 20.15 | 703 | საფრანგეთი (მე-4) | 22 და ნაკლები – 1,9; | 24 და მეტი – 1,9 |
| | | | **18 აგვისტო** | |
| 22.15 | 704 | პორტუგალია (მე-2) | 22 და ნაკლები – 1,9; | 24 და მეტი – 1,9 |
| | | | **17 აგვისტო** | |
| 23.00 | 705 | ჰოლანდია (1-ლი) | 25 და ნაკლები – 1,9; | 27 და მეტი – 1,9 |
| | | | **17 აგვისტო** | |
| 23.00 | 706 | ბელგია (მე-2) | 26 და ნაკლები – 1,9; | 28 და მეტი – 1,9 |
| | | | **17 აგვისტო** | |
| 19.30 | 707 | ჩეხეთი (მე-4) | 19 და ნაკლები – 1,9; | 21 და მეტი – 1,9 |
| | | | **17 აგვისტო** | |
| 19.00 | 708 | პოლონეთი (მე-5) | 19 და ნაკლები – 1,9; | 21 და მეტი – 1,9 |
| | | | **17 აგვისტო** | |
| 22.00 | 709 | თურქეთი (მე-2) | 23 და ნაკლები – 1,9; | 25 და მეტი – 1,9 |
| | | | **18 აგვისტო** | |
| 16.00 | 710 | რუსეთი (22-ე) | 18 და ნაკლები – 1,9; | 20 და მეტი – 1,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

1 აგვისტოდან კროკო
ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე
მხოლოდ ორშაბათი იქნება.
სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი,
ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა

მსოფლიოს თასის მეექვსე ეტაპი (სან სებასტიანის კლასიკა)

# ჟაჟა ხის კიბეზე

**ფრანგმა** ლორან ჟალაბერმა შაბათს ბასკური განიერი შავი ბერეტი მოირგო. „ჟაჟამ" ბასკთა კეთილგანწყობა დაიმსახურა სან სებასტიანის კლასიკის მოგებით, რომელიც მსოფლიოს თასის მეექვსე ეტაპად ითვლებოდა.

დონოსიას, როგორც სან სებასტიანს ბასკურად ჰქვია, გარშემო 228 კილომეტრის გავლის შემდეგ, მსოფლიოს კლასიფიკაციის ყოფილმა პირველმა ნომერმა სამ თანამოიერიშე იტალიელს მოგების არანაირი შანსი არ დაუტოვა და „ტურის" ორ ეტაპზე პირველობას სეზონის მესამე გამორჩეული გამარჯვება მიუმატა. ოთხეულმა პელოტონს 34 წამით მიასწრო ფინიშზე.

ლტოლვილთა შორის სან სებასტიანის კლასიკის ადრინდელი ტრიუმფატორებიც იყვნენ. ფრანჩესკო კასაგრანდეს აქ 1998-99 წლებში უმარჯვია, მასზე ერთი წლით ადრე კი პოდიუმზე დავიდე რებელინი მდგარა. თუმცა მათ ბასკურმა გამოცდილებამ ვერ უშველა და ჟალაბერმა ისინი სპრინტში დიდებულად დაამარცხა. ოთხეულის ბოლო წევრმა ვლადიმერ ბელიმ კი სპრინტამდე სცადა შეტევა და ამას იმდენი ენერგია შეალია, კომპანიონების საქმეებში ველარ ჩაერია.

ფრანგმა სპრინტი ფინიშამდე 250 მეტრით ადრე წამოიწყო და უკანასკნელ მოსახვევშიც საუკეთესოდ შევიდა. აპენინური ტრიოც მისმა ამ მანევრმა დატოვა მშრალზე. საბოლოოდ ჟალაბერმა ფინიშის ხაზზე დაახლოებით ოციოდე სანტიმეტრი უპირატესობა შეინარჩუნა, რაც ცოტა ნამდვილად არაა.

„ამ რბოლაში თითქმის ყოველთვის საკმაოდ კარგად გამოვდიოდი-ხოლმე, მაგრამ გამარჯვებისთვის არასოდეს მიმიღწევია" — ამბობდა სტარტამდე დანიური „ტისკალის" წევრი, რომელიც სან სებასტიანის გარშემო გზას კარგად იცნობდა.

შაბათს ბასკეთში მზიანი დღე იყო, ჰაერის ტემპერატურა 28 გრადუსი. შარშანდლის მსგავსი წვიმა და სიცივე არ დაემთხვა რბოლას, რაც ხელს შეტევების მოყვარულებს აძლევდა. რამდენიმე მათგანი მალევე განხორციელდა, მაგრამ პელოტონი ყოველთვის ახერხებდა მათ გაუვნებლებას. გზის მეხუთე და ბოლოსწინა დაბრკოლება ხაისკიბელზე (ძალიან ჰგავს „ხის კიბეს"), რომლის დახრილობა 5,74 პროცენტია, ახალმა ჯგუფმა შეუტია და დარჩენილ 36 კილომეტრზეც პელოტონი სწორედ მათ დაწევას ლამობდა. მართალია, ზოგიერთმა რბოლის სათავეში ბოლომდე ყოფნა ვერ შეძლო, მაგრამ ზემოთ ნახსენებმა ოთხეულმა ახლოს არავინ გაიკარა.



REUTERS სან სებასტიანიდან

ლორან ჟალაბერმა ყველას აჯობა და ქართველთა ნათესავებისგან ბერეტიც ირგუნა

აქამდე მშვიდად მყოფი ჟალაბერი მოწინავეებში აღმოჩნდა. „ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. თავს მშვენივრად ვგრძნობდი, ძალები საკმარისად მქონდა, რამაც, ცოტა არ იყოს, გამაოცა, რადგან „ტურის" შემდეგ ბევრი აღარ მირბოლია. შეტევის შემდეგ კასაგრანდესთან ერთად ტემპი კიდევ უფრო გავზარდე, რამაც დანარჩენი ოთხი მრბოლი ჩამოგვაშორა. მერე კი სპრინტისთვისაც მოვიცალე" — განაცხადა 32 წლის ფრანგმა.

დასკვნით ნაწილში ჟალაბერს ალარავისი შეშინებია, ფინალურ სპრინტზე აქცენტი იმიტომ გავაკეთე, რომ სამი იტალიელი მანამდე გაქცევის არანაირ შანსს არ მომცემდაო.

მისი იმ დღეს გამარჯვებით კიდევ ერთმა მრბოლმა გაიხარა. ეს არის მეცხრე ადგილზე გასული ჰოლანდიელი ერიკ დეკერი, რომელიც მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში ლიდერობს, მისი მთავარი კონკურენტი დავიდე რებელინი კი ეტაპის გამარჯვებულისთვის განკუთვნილი 100 ქულის ნაცვლად ამის ნახევარითღა დაკმაყოფილდა.

თავად ლორან ჟალაბერი კი საერთო ჩათვლაში იმიტომ არ შედის, რომ წინა ხუთ ეტაპში მონაწილეობა არ მიუღია. არადა, საერთო ჩათვლაში მოსახვედრად ათიდან მინიმუმ ექვსი რბოლა მაინც უნდა დაასრულო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჟალაბერს უკანასკნელად კლასიკური რბოლა 1997 წელს მოუგია. მაშინ იგი „ლომბარდიის ტურზე" გახდა საუკეთესო.

**ბაჩი ბურული**

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ტისკალი) 5სთ 17წთ 49წმ
2. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ფასა ბორტოლო)
3. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი)
4. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) ყველას იგივე დრო
5. სერჟ ბაგე (ბელგია, ლოტო) +25წმ

**საერთო ჩათვლა**

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 219 ქულა
2. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი) 144
3. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია, ლამპრე) 126
4. ჯანლუკა ბორტოლამი (იტალია, ვინი კალდიროლა) 121
5. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, დომო) 116
6. იოჰან მუსეუვი (ბელგია, დომო) 116
7. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ფასა ბორტოლო) 113
8. სერვე კნავენი (ჰოლანდია, დომო) 101
9. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 100
10. სერჟ ბაგე (ბელგია, ლოტო) 90


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით

CART — მეთოთხმეტე ეტაპი. ლექსინგტონის (აშშ) დიდი პრიზი

# კასტრონევეშმა ისტორია გაიმეორა

„ლექსინგტონის გრან პრი", რომელსაც მეორენაირად „მიდ ოჰაიო გრან პრისაც" უწოდებენ, კენტუკის შტატის იმ ქალაქში ტარდება, რომელიც უფრო დოლებითაა განთქმული. კვირას ლექსინგტონში „კარტის" მე-14 ეტაპი გაიმართა.

უკვე საწვრთნელი რბოლებიდან გამოიკვეთა ორი ბრაზილიელი პილოტის დიდი უპირატესობა. პირველი და მე-3 სესიები ჰელიო კასტრონევეშმა მოიგო, იმათ შუა ჟილ დე ფერანმა იმარჯვა და მანვე გადაკვეთა ფინიში საუკეთესო დროით საკვალიფიკაციო გარბენზე. 3,4 კმ სიგრძის ტრასა მან 1:05.442-ით შემოწერა და რბოლის სტარტზე პირველი დააყენეს.

პილოტებს 83 წრე უნდა შემოევლოთ. აქედან 28 წრეზე დე ფერანმა ლიდერად იარა, მერე კი პიტსტოპი გააკეთა და ამასობაში კასტრონევეში დაწინაურდა, რათა ერთი წრის შემდეგ მიემართა მექანიკოსებისთვის — ჯერჯერობით სცენარი ზუსტად შარშანდელი ანალოგიური რბოლისა იყო.

კასტრონევეშმა პიტსტოპიდან გამოსვლისას აღმოაჩინა, რომ ესპანელი ორიოლ სერვიას „ლოლა-ფორდი" დაწინაურებულიყო და თითქმის მაშინვე, 31-33-ე წრეებს შორის რბოლა შეწყდა: თანაგუნდელების, კენი ბრაკის და მაქს პაპისის ბოლიდები ერთმანეთს გამოედო, რითაც პაპისისთვის ის რბოლა დასრულდა, ბრაკმა კი, რომელიც საერთო ჩათვლის ლიდერი გახლდათ, გააგრძელა, მაგრამ ვაი, ასეთ გაგრძელებას, მხოლოდ მე-20, ანუ ბოლო ადგილზე გავიდა, რადგან რბოლის დარჩენილ ნაწილშიც ორი წყვეტა იყო და ფინიშამდე მხოლოდ 20 ბოლიდი მივიდა. საერთო ჩათვლის ნახვისას დარწმუნდებით, რომ ბრაკი მაინც ლიდერობს, მაგრამ დღეს არის და ხვალ არა, კასტრონევეში მხოლოდ ქულით ჩამორჩება.

დიახ, ლექსინგტონში ის დღე ბრაზილიელისა გახლდათ. 66-ე წრეზე ესპანელმა სერვიამ, როგორც იქნა, პიტსტოპი იკადრა, სანამ საბურავებს ცეცხლი წაეკიდებოდა და კასტრონევეში ერთხელ და სამუდამოდ მოექცა რბოლის თავში. თანაგუნდელი და თვისტომი დე ფერანი აქტიურად სდევდა კასტრონევეშს ფინიშამდე, მაგრამ ვერსად დაეწია. კასტრონევეშის „რეინარდ ჰონდა". პირველი იყო, დე ფერანისა — მეორე, მესამე ადგილზე „რეინარდ-ფორდში" ჩასკუპებული კანადელი პატრიკ კარპენტიე გავიდა. კასტრონევეშმა კი ლექსინგტონის ეტაპი ზედიზედ მეორედ მოიგო.

სხვაობა ლიდერსა და მიმყოლს შორის 1,568 წამი იყო, რისი აღმოფხვრაც დე ფერანს უსაშველოდ არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ: „მან (კასტრონევეშმა) მხოლოდ უმნიშვნელო შეცდომები დაუშვა — ამბობს დე ფერანი — ეს კი არ კმაროდა საიმისოდ, რომ დავწეოდი. თან ერთი-ორჯერ მეც შევცდი. დღეს ჰელიო მოწოდების სიმაღლეზე იდგა".

„როგორც კი ლიდერობა ხელში ჩავიგდე — განმარტავს ახლა კასტრონევეში — სიმშვიდე არ დამიკარგავს. მანქანამ მთელი ტრასის მანძილზე მიერთგულა, იდეალურად დადიოდა რესტარტებისას და რაც ოდნავ მაშფოთებდა, ის იყო, რომ კუდში ჟილი მომდევდა. მას ბევრი შეუძლია და ისიც მაფიქრებდა, ვაითუ მანქანაც უფრო გამართული ჰყავს-მეთქი".

ბრაკისა და კასტრონევეშის ბრძოლა პირველობისთვის გადამწყვეტ ფაზაში შედის, თუმცა პირველობის შანსები მეტ-ნაკლებად ათიოდე სხვა პილოტსაც აქვს.

**დავით გულუა**

**რბოლის შედეგები**
**83 წრე — 299,84 კმ**

1. ჰელიო კასტრონევეში (რეინარდ-ჰონდა) 20 ქულა; 2. ჟილ დე ფერანი (რეინარდ-ჰონდა) 16; 3. პატრიკ კარპენტიე (რეინარდ-ფორდი) 14; 4. პოლ ტრეისი (რეინარდ-ჰონდა) 12; 5. ტონი კანაანი (რეინარდ-ჰონდა) 10; 6. რობერტო მორენო (რეინარდ-ტოიოტა) 8; 7. ალექს ტაგლიანი (რეინარდ-ფორდი) 6; 8. კრისტიან ფიტიპალდი (ლოლა-ტოიოტა) 5; 9. ორიოლ სერვია (ლოლა-ფორდი) 4; 10. კრისტიანო და მატა (ლოლა-ტოიოტა) 3; 11. მემო გიდლი (ლოლა-ტოიოტა) 2; 12. სკოტ დიქსონი (რეინარდ-ტოიოტა) 1.

**საერთო ჩათვლა**

1. კენი ბრაკი (შვედეთი) 104; 2. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია) 103; 3. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია) 89; 4. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია) 81; 5. მაიკლ ანდრეტი (აშშ) 73; 6. კრისტიანო და მატა (ბრაზილია) 70; 7. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია) 69; 8. პატრიკ კარპენტიე (კანადა) 65; 9. პოლ ტრეისი (კანადა) 65; 10. კრისტიან ფიტიპალდი (ბრაზილია) 54.

**ეროვნებათა თასი**

1. ბრაზილია 193; 2. აშშ 136; 3. კანადა 126; 4. შვედეთი 104; 5. შოტლანდია 81




ჟილ დე ფერანის (უკან) ბოლიდი ფინიშამდე ამაოდ მისდევდა ჰელიო კასტრონევეშისას



# ტანვარჯიშული სკოლის ორი მსოფლიო ვერცხლი

**ამ** დაქცეულ და წყალწაღებულ ქვეყანაში ბავშვთა წარმატებებიც კი გვიხარია. ცალკე, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ სიხარული, გინდა დიდი და გინდა პატარა, სანატრელი გაგვიხდა, ცალკეც ქართული სპორტის მომავალს აქედანვე თუ არ მივდიეთ ფეხდაფეხ, მერ უკვალოდ დაიკარგება. ამის ბევრი მაგალითი არსებობს. გვყოლია არაერთი ნიჭიერი და იმედის მომცემი ახალგაზრდა, მაგრამ, როდესაც საქმე სერიოზულ დონემდე მიმდგარა, ბედის ანაბარად და უყურადღებოდ მიტოვებულებს სპორტზე გული ასცრუებიათ. ბოლო დროინდელი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ წარმატებათა მეტი წილი ახალგაზრდა სპორტსმენებზე მოდის. ამის დასტურად ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე მიღწეული შედეგებიც კმარა. ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითია ახლახან დანიურ ოდენსეში დასრულებული ბატუტისტთა მე-15 ასაკობრივი მსოფლიოს ჩემპიონატიც, რომელშიც 21 ქვეყნის 2003 სპორტსმენთან ერთად ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ და შეიძლება ითქვას, შეუძლებელი შეძლეს. თავად განსაჯეთ. მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნები ათეულობითკაციანი დელეგაციებით იყვნენ წარმოდგენილნი, ქართველები სულ რაღაც 8-კაციანი ჯგუფით ეწვივნენ ოდენსეს და უფროსი მწვრთნელის ზაურ სულაშვილის ხელმძღვანელობით იმდენი მოახერხეს, რომ მოწინავე ქვეყნების ჩვენზე დალხენილ სპორტსმენებს ტოლ-სწორად ეპაექრნენ და საპრიზო ადგილებიც დაიკავეს.

თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა სკოლის ოთხ აღსაზრდელთაგან ორმა ბატუტისტმა, 16 წლის სოფიო გულიაშვილმა და 11 წლის ლუბა გოლოვინამ მეტოქეებს ორი ვერცხლის მედალი გამოგლიჯეს, თუმცა, როგორც სპორტსკოლის ხელმძღვანელმა როზა ბერიკაშვილმა გვითხრა, ამ უკანასკნელს ჩემპიონობა მსაჯებმა დაათმობინეს. მიუხედავად ამისა, ესეც ჩინებული შედეგია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ასეთ წარმატებას ოთხიდან ორი აღწევს. ეგ კი არა, გულიაშვილ — გოლოვინას ტანდემმა მერე უფროს ასაკობრივ ჯგუფში სინქრონულ წყვილებშიც იასპარეზა. მართალია, იქ საპრიზო ადგილი არ დაუკავებიათ, მაგრამ 17 წელს გადაცილებულ სპორტსმენთა შორის მეხუთე ადგილიც არაა ურიგო. ეს საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ მომავალში წყვილი მეტ წარმატებას მიაღწევს, მით უფრო, რომ ასაკით უმცროს გოლოვინას ერთობ ნიჭიერ და მონდომებულ ბატუტისტად მიიჩნევენ.

სამწუხაროდ, საპრიზო ადგილამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა ასევე ბატუტისტს, 14 წლის თენგიზ კოშკაძეს. იგი მეოთხე იყო. უმედლოდ დარჩა 11 წლის გიორგი ექიზაშვილიც. მან სპორტულ აკრობატიკაში პირველი ნახტომი გააფუჭა, მეორე ნახტომის შემდეგ კი მეოცე ადგილზე გავიდა. რომ არა ის დასანანი შეცდომა, უკეთესი შედეგიც ექნებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოდენსეს მსოფლიოს ჩემპიონატზე არბიტრთა შორის იყო როზა ბერიკაშვილი. მას ბატუტისტთა ასპარეზობების მსაჯობის პატივი ხვდა წილად.

ისე, რომ არა ქალაქის სპორტისა და მერიის საფინანსო სამმართველოების ძალისხმევა, ალბათ, ეს მსოფლიოს ჩემპიონატიც, როგორც ეს ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, უჩვენოდ ჩაივლიდა.

**გიგა გურასპიშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



## სპილომ ოლიმპიელის [illegible]

**ცოტა** რამ ბუნებიდან. სპილოებს ინდოეთში ეთაყვანებიან და მოშინაურებულიც ჰყავთ. აი, აფრიკაში კი ამ გიგანტურ ცხოველებს, ინდოელი თანამოძმეებისგან განსხვავებით, სიავე გამოარჩევთ. თუ ვინიცობაა შავ კონტინენტზე მოხვდით და ჰორიზონტზე ხორთუმიან არსებებს მოჰკარით თვალი, ჯობს თავი აარიდოთ.

ახლა ცოტა რამ სპორტიდან მართალია, ჯეკი ბოქსბერგერი მთელი ცხოვრება სარბენ ბილიკზე დარბოდა, მაგრამ ვაი, რომ ამან ვერ უშველა.

ყოფილი ფრანგი ოლიმპიელი, 1500 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიური თამაშების მეექვსეადგილოსანი ზედმეტმა ცნობისმოყვარეობამ დაღუპა. თუმცა ირკვევა, რომ 52 წლის ბოქსბერგერს სტაიერობაც დავიწყებია.

კენიის პოლიციის ინფორმაციის თანახმად, საფარიში ცოლთან და ქალიშვილთან ერთად დასასვენებლად მყოფი ბოქსბერგერი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ეროვნულ პარკში აფრიკულმა ხორთუმიანმა გიგანტმა სასიკვდილოდ გადათელა. ეს მაშინ მოხდა, როცა ყოფილი მორბენალი ფოტოაპარატს აჩხაკუნებდა.

არ ერჩივნა, ცოტა შორს, ჩირგვებში ჩამალულს გადაეღო სურათები ან სულაც გაქცეულიყო?

## ვადა სახურავის ძიებაშია

**იმ** მრავალრიცხოვან საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს, რომლებიც ლოზანაში ბინადრობენ, ახლა შეიძლება ერთიც მიემატოს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ძალისხმევით 1999 წელს დაარსებული მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტო (ვადა), რომელსაც ლოზანისთვის დროებით შეუფარებია თავი, ახლა მუდმივ საცხოვრებელს ეძებს. მას რამდენიმე ქალაქი სთავაზობს ნავსაყუდელს. ამათგან სამი — მონრეალი, ვენა და ლოზანა ყველაზე მეტად დაწინაურებულა. თითოეული იმედოვნებს, რომ სპორტის ამ დიდ სატკივართან მებრძოლი სააგენტო სწორედ მათთან ჩაუშვებს ღუზას, სტოკჰოლმისა და ბონის ამგვარი ამბიცია კი ნაკლებ რეალურად მიაჩნიათ.

„ვადა-ს ხუთივე ქალაქში შეუძლია, მყუდროება ჰპოვოს. მათი განცხადებების შესწავლისას პოტენციურ მასპინძლებად საკუთარი თავი ყველაზე უკეთ მონრეალმა, ვენამ და ლოზანამ წარმოაჩინეს" — საქმის ვითარებაში გვარკვევს აშშ-ს ყოფილი ოლიმპიელი და სააგენტოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე რობერტ კეტერლიკი.

თუმცა ყოველივე საბოლოოდ 21 აგვისტოს, ტალინის სხდომაზე გაირკვევა.

სხვათა შორის, როდესაც ვადა-ს კომიტეტი აპრილში ხუთივე ქალაქს სტუმრობდა, ახალი საცხოვრებლის შესარჩევ კრიტერიუმად ქალაქის ანტიდოპინგურ ისტორიას, მათ ვალდებულებებს, ინფრასტრუქტურასა და ფინანსურ მდგომარეობებს ითვალისწინებდა.

## სოლტ ლეიკ სიტის დედმამიშვილები მოუმრავლდნენ

**გაუღეთ** ოლიმპიადას კარი და ნახავთ, რომ თქვენთან მეგობრობას ბევრი მოიწადინებს. ამიტომაც მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელ სოლტ ლეიკ სიტისთან უკვე ექვს ქალაქს დაუმყარებია ძმური ურთიერთობა, უფრო მეტი კი რიგში ჩამდგარა.

2002 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქთან დაძმობილების სურვილით მასპინძლებს არაერთი ემისრის მიღება მოუხდათ. ახლახან იუტას დედაქალაქის საბჭოს თავკაცმა როჯერ ტომპსონმა და მერმა როკი ანდერსონმა ჩინეთის ქალაქების — უინჩუანისა და მიანიანგის წარმომადგენლებს უმასპინძლეს. ყოფილ თანამემამულეებთან დაძმობილების სურვილით მათ სოლტ ლეიკში მცხოვრებმა ევროპელმა ემიგრანტებმაც მიმართეს. მათ იუტას დედაქალაქს ყოფილი და მომავალი, სარაევოსა (1984) და ტურინის (2006) ზამთრის ოლიმპიადების მასპინძლები შეარჩიეს. თუმცა ყველაზე დიდი სიურპრიზი ამერიკელებს მონღოლებმა შესთავაზეს. სხვების არ იყოს, ულან ბატორსაც უნდა ჩრდილო ამერიკის ამ ქალაქთან დაძმობილება.

სხვათა შორის, ამგვარ შემთხვევაში ჩვენ ვამბობთ დაძმობილებულს, ამერიკელები კი — დობილს.

აღსანიშნავია ამერიკელთა პოლიტიკაც. ისინი სხვებთან დასაძმობილებლად არც „ჰოს" ამბობენ და არც „არას". საერთოდ, ეს მათი ცხოვრების წესია.

„ჩვენ ასეთ მოთხოვნებზე არ ვნადირობთ. თუმცა არც უარს ვეუბნებით მათ. ყველა მათგანის სურვილს გავითვალისწინებთ" — თქვა დაძმობილებული ქალაქების მოძრაობის კოორდინატორმა სანდი მარლერმა.

მაგრამ სოლტლეიკელებთან დასაძმობილებლად მარტო სურვილი არ კმარა. ქალაქებს შორის ურთიერთობების გაღრმავებაში მთავარი როლი მოსახლეობამ უნდა ითამაშოს.

ჰოდა, იაპონელებმა უკვე გაჩარხეს საქმე. ჯერ კიდევ ნაგანოს ოლიმპიადისას იუტას დედაქალაქთან დაძმობილებული მაცუმოტო სოლტლეიკსიტელებს სტუმრობდა, ახლა კი ამას მაცუმოტოელებიც აპირებენ.

სოლტ ლეიკში სტუმრობას გეგმავს ორუროს (ბოლივია), თარლესის (ირლანდია), ჩერნოვცის (უკრაინა) და კილუნგ სიტის (ტაივანი) ორ-ორი ან სამ-სამი წარმომადგენელიც.

სოლტლეიკელები კი საგონებელში ჩავარდნილან, როგორ უმასპინძლონ ძმობილ თუ დობილ ქალაქებს.

„სხვა გზა არ გვრჩება. ყველა მათგანის მისალებად რაღაც უნდა ვიღონოთ. ისე, ეტყობა, ეს ძნელი იქნება" — დამფრთხალია ქალაქის საბჭოს თავკაცი ტომპსონი.

ასეა თუ ისე, მათი თავსატეხია სტუმართა ბილეთებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, დელეგაციის ათიდან ერთ წევრს სიტი ჰოლის საპატიო სტუმართა მისალებში უმასპინძლებენ.

## დღეს სიდნეიში ოლიმპიური ცეცხლი აინთება

**სიდნეის** ოლიმპიურ სტადიონზე შთამბეჭდავად დანთებულ და აღმართულ ჩირაღდანს შარშანდელი ოლიმპიადის აღსანიშნავად ერთი წლის თავზეც ააგუზგუზებენ. ოლიმპიური თამაშების მთავარი სიმბოლო XXVII ოლიმპიადის მსგავსად 15 სექტემბერს დაინთება და 3 კვირის განმავლობაში სტადიონ „ავსტრალიას" ძველებურად ჩრდილოეთ მხრიდან გაანათებს. ამჟამად ამ 10-მეტრიან კონსტრუქციას, რომელიც კაპიტალური შეკეთების შემდეგ ისევ დაუბრუნდა ოლიმპიურ პარკს, რამდენიმე კვირის განმავლობაში ნაირგვარ წყალ და გაზგაყვანილობის მილებსა და ელექტროკაბელებს შეუერთებენ. რესტავრაცია კი მას ქალაქ კარნელის სპეციალურ ფაბრიკაში ჩაუტარეს. მილებ და საქშენგამოცვლილი ჩირაღდანი შემდეგ გემით გადაიტანეს სიდნეის რაიონ ჰოუმ ბუშ-ბეიში, იქ, სადაც ოლიმპიური სტადიონია.

**გიგა გურასპიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფერება-ფერებაში

ტორონტოში, კანადის ღია პირველობაზე კვლავ წყვილად წარდგებიან ჩოგბურთის უბერებელი დეიდები, მარტინა ნავრატილოვა და არანჩა სანჩეს-ვიკარიო. წყვილთა შეჯიბრში გამოსვლა მათ დიდად არ უძნელდებათ და გართობადაც ეჩანთ. გახსნის ცერემონიალზე წყვილი დიდი ხალისით გამოირჩეოდა და ნავრატილოვას ძაღლის, „სოფის“ ფერებით იყო გართული.



REUTERS ტორონტოდან

# ამოსცხო

დულუთის „ატლანტა ატლეტიკ ქლაბში“ გახურდა პროფესიონალ მეგოლფეთა ასოციაციის ჩემპიონატი. განთქმული ტაიგერ ვუდსის გარეშე აბა როგორ იქნებოდა. მსოფლიოს უპირველეს ყვანჯოსანს სწორედ მაშინ გადაუღეს ფოტო, როცა ქვიშიდან ბურთის ამოგდებას ლამობდა.



REUTERS დულუთიდან



REUTERS პეკინიდან

# კობი აკრძალულ ქალაქში

ძვლავ ჩინეთშია ამერიკული კალათბურთის ვარსკვლავი კობი ბრაიანტი, რომელიც ამ ქვეყანაში „ადიდასის“ მიერ გამოშვებული მისი სახელობის სპორტული ფეხსაცმლის რეკლამირებას ეწევა. ამ ჯერზე ლოსანჯელესელი მოთამაშე განთქმულ აკრძალულ ქალაქს, იმპერატორთა ოდინდელ რეზიდენციას სწვევია.



REUTERS გალედან

# უფეხო გმირი

ედ ჰორმერი პირველი კაცი იქნება დედამიწის ზურგზე, არცერთი ფეხი რომ არა აქვს და სამყაროს უმაღლეს მწვერვალს, ევერესტს რომ დაიპყრობს. ჰორმერი პროფესიონალი ალპინისტია, თუმცა ფეხები ავიაკატასტროფის შედეგად დაკარგა. კატმანდუში მყოფი ამერიკელი სულ მალე შეუდგება ნეპალის მხრიდან ევერესტის დალაშქვრას.



REUTERS კატმანდუდან

# ტესტი დაიწყო

ეს-ესაა გახურდა პირველი ტესტი ინდოელ და შრილანკელ მოკრიკეტეებს შორის. ჯერ პირველი დღეა, მაგრამ ტყორცნა-ჭახაჭუხი ფრიადია. ედურ გალეს კრიკეტის საერთაშორისო სტადიონზე მიმდინარე შეჯიბრის პირველი დღის ერთი წამი კი ასეთია: ინდო ტაფელოსანმა სადაგომან რამეშმა მადლიანად გასცხო ლანკელ რუჩირა პეურას ნატყორცნ ბურთს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge